საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ცისნამი სანიკიძე

გაზეთი ,,დროება“ ქართული ლიტერატურის სამსახურში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლელა კუკულაძე - ასოც. პროფ.
აკადემიური დოქტორი

ხიჭაური
2021

ანოტაცია

წინამდებარე საბაკალავრო ნაშრომი მოიცავს ქართული პუბლიცისტიკის მეტად საინტერესო და შინაარსიანი გამოცემის - გაზეთ ,,დროების“ დაარსების ისტორიას. ეს არის ისტორია მე-19 საუკუნის 60-80-იანი წლებისა, როდესაც განსაკუთრებულად მძაფრი და წინააღმდეგობრივი იყო არა მხოლოდ ქართული საგამომცემლო საქმიანობა, არამედ, ზოგადად, ქართული საზოგადოებრივი აზროვნება და ცხოვრება. ნაშრომი შედგება შესავლისა და ხუთი თავისაგან. შესავალ ნაწილში ვსაუბრობთ ქართული ინტელიგენციის ეროვნულ სულისკვეთებაზე, რომელიც გაზეთ ,,დროების“ გამოცემასთან დაკავშირებით გამჟღავნდა. ნაშრომის პირველი თავი მოიცავს მე-19 საუკუნის 60-იანი წლების კულტურულ-საგანმანათლებლო ვითარების ზოგად მიმოხილვას, ნაშრომის მე-2 თავი კი ეხება უშუალოდ გაზეთის დაარსების ინიციატივას და ორგანიზაციული საქმიანობის განხორციელებას, მესამე თავში წარმოდგენილია გაზეთის პუბლიცისტური შინაარსი, ის ძირითადი თემები და საკითხები, რომელსაც ,,დროების“ პუბლიცისტები ეხებოდნენ; ნაშრომის მეოთხე თავში განვიხილავთ გაზეთის ევროპულ სულისკვეთებასა და ხასიათს, ასევე მის პოზიციას ეროვნული ერთიანობისა და მთლიანობის თვალსაზრისით, რომელიც იმდროინდელი აჭარის და ზოგადად სამუსლიმანო საქართველოს პრობლემატიკას მოიცავდა. ნაშრომის მეხუთე თავი იმ წვლილის წარმოჩენას ემსახურება, რომელიც ამ გაზეთმა შეიტანა ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში. და ბოლოს დასკვნა, სადაც საუბარია გაზეთის მნიშვნელობასა და დამსახურებაზე, რომელიც ეროვნული ცნობიერების ამაღლებისა და ერთიანი სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებაში მიუძღვის.

Abstract

Bachelor's work includes the history of establishing the most interesting and meaningful Georgian newspaper "Droeba". It is a history in mid-19th century when it was the most intense and controversial not only Georgian publishing activities but also Georgian public opinion and life cycle. The work consists of the introduction, five chapters and conclusion. In the introductory part of the work are talking about the national spirit of the Georgian intelligence which was revealed in the newspaper of "Droeba". The first chapter of the work includes a general overview of the cultural and educational situation in the middle 19th centuries. The second chapter deals with the initiative establishment and the organizational activities of the newspaper. The third chapter contains not only the publication content of the newspaper but also the main topics and issues which are referred to the publicist of "Droeba". Writings fifth chapter presentates contribution, which this newspaper involved the development of Georgian literature. And the last fourth chapter of the work is discussed the national spirit and character of the newspaper, as well as it's popularity in terms of national unity and integrity that covered the problems of Adjara and the whole Georgia in general. The conclusion of the work conveys the significance and merits of the newspaper which are leading to the national awareness and the establishment of national unity's thought.

შინაარსი:

შესავალი ---------- 5

თავი I

1. მე-19 საუკუნის 60-იანი წლების საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო ვითარება ---------- 7

თავი II

1. გაზეთ ,,დროების“ გამოცემის ორგანიზაცია ---------- 13
2. გაზეთ ,,დროების“ პროგრამა და განყოფილებები ---------- 17
3. გაზეთ ,,დროების“ რედაქტორები, პერიოდულობა, ტირაჟი, ფასი, ხელისმოწერა-გავრცელება, სტამბა ---------- 23

თავი III

1. ,,დროების“ პუბლიცისტიკა ---------- 30

თავი IV

1. ,,დროება“ პირველი ევროპული ტიპის გაზეთი ---------- 40
2. ,,დროება“ აჭარის შესახებ --- - ---------- 45

თავი V

1. მიმდინარე ლიტერტურული პროცესები „დროების“ ფურცლებზე ---------- 52
2. ლიტერატურული საღამოები „დროების“ ფურცლებზე ---------- 56

დასკვნა ---------- 61

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 63

შესავალი

გაზეთი ,,დროება“ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ვითარების პირმშოა. სწორედ ამ ეპოქამ მოგვცა ღირსეულ მამულიშვილთა ის ახალგაზრდა თაობა, რომელთა მოღვაწეობითა და სამწერლო ასპარეზზე გამოსვლით ახალი ხანა დაიწყო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. თამამად შეიძლება ითქვას, ეს არის ეპოქა ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ნიკო ნიკოლაძისა, გიორგი წერეთლისა, სერგეი მესხისა.. როდესაც მყარად მკვიდრდება ადამიანთა შეგნებაში იდეოლოგია სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა, განათლებისა და წიგნიერებისა, ვაჭრობა- მრეწველობის განვითარებისა და წინსვლისა. თუმცა იგივე ეპოქა თავს იწონებს ძველი თაობით ე.წ. ,,მტკვარდალეულებით“: გრ. ორბელიანი, ალ. ორბელიანი, ვახ. ორბელიანი, რევ. ერისთავი, ბარ. ჯორჯაძე, ექვთიმე წერეთელი... რომელთა საქმიანობა წოდებრივი უპირატესობის ფილოსოფიიდან ამოდიოდა... ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილი კარგად გრძნობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ცვლილებებისა და რეფორმების გატარების აუცილებლობას. შეუძლებელი იყო არსებული გზით ქვეყნის წინსვლა-განვითარება და პროგრესი. ვის უნდა ეტვირთა ეს პასუხისმგებლობა, თუ არა ნიჭიერ, განათლებულ ახალგაზრდა თაობას? და არ დააყოვნა პეტერბურგიდან ახლად დაბრუნებულმა ილია ჭავჭავაძემაც. 1861 წელს, ივანე კერესელიძის ჟურნალ ,,ცისკრის“ მე-4 ნომერში ილია ბეჭდავს პოლემიკური ხასიათის წერილს ,,ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდან შეშლილის თარგმანზედა“. ახალგაზრდა ილიას წერილმა ,,ძილი დაუფრთხო“ და ,,მოსვენება დაუკარგა“ ძველი თაობის წარმომადგენლებს. მათ კარგად დაინახეს თუ რაოდენ დიდი საფრთხის შემცველი იყო მათი შეხედულებებისათვის სამოღვაწეო ასპარეზზე ახლადგამოსული ილია ჭავჭავაძე.

ამ წერილით იწყება თერგდალეულთა გადამწყვეტი ბრძოლა ახალი იდეების დამკვიდრებისათვის. ფაქტობრივად ეს იყო ქართველ სამოციანელთა საპროგრამო გამოსვლა. ილია ჭავჭავაძის ამ წერილს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებისათვის.

1861 წლის აპრილიდან ,,ცისკრის'' ფურცლებზე გაჩაღდა მწვავე იდეური დაპირისპირება ძველი კონსერვატიული შეხედულებების დამცველებს,-ე.წ. ,,მტკვარდალეულებსა"(ასე ეძახდნენ ყველას, ვისაც განათლების მისაღებად ქვეყნის საზღვარი გადალახული არ ჰქონდა), და პროგრესულ–დემოკრატიული იდეებით გაჯერებულ ახალ თაობას შორის. ,,თერგდალეულების" სახელით მონათლული ახალგაზრდა თაობა, რომელთაც უმაღლესი განათლება რუსეთისა თუ ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში ჰქონდათ მიღებული, მთელი მონდომებით ცდილობდა საკუთარი ცოდნა და გამოცდილება სამშობლო ქვეყნის თავისუფლების, ეკონომიკური წინსვლის, განათლებისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის გამოეყენებინათ. ამ მიზნით ისინი თავს არ ზოგავდნენ, დადიოდნენ ხალხში და ეწეოდნენ ახსნა-განმარტებით საქმიანობას, იმ დროისათვის ერთადერთ პერიოდულ გამოცემაში,- ივანე კერესელიძის ჟურნალ ,,ცისკარში" ბეჭდავდნენ პოლემიკური ხასიათის წერილებს. მათი საქმიანობით ცხადი ხდებოდა ყველასათვის, რომ დაიწყო მანამდე უეჭველ ჭეშმარიტებად მიჩნეულ შეხედულებათა გადაფასება. ამ ყველაფრის სათავეში კი ილია ჭავჭავაძე ი დგა. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიას მანამდე არასოდეს უნახავს ასეთი მწვავე, დაუნდობელი, პრინციპული იდეური შერკინება.

თავი I

მე-19 საუკუნის 60-იანი წლების საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო ვითარება

ქართული საზოგადოებრივი აზროვნება კრიტიკული რეალიზმისაკენ იკაფავდა გზას, რაც ცხოვრების ლიტერატურულ სიახლეებსაც განაპირობებდა.

,,ცისკარი'' 1859 წ. დიდი რისკის ფასად ბეჭდავს ახალგაზრდა პროზაიკოსის დანიელ ჭონქაძის ,,სურამის ციხეს''. გაუტყდათ ღამის მშვიდი ძილი და მოსვენება ,,ცისკარში'' მოღვაწე ავტორიტეტებს. სულ რაღაც ორიოდე წლის შემდეგ კი ძველმა თაობამ ილია ჭავჭავაძის ცნობილი წერილის - ,,ორიოდე სიტყვა რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდან ,,შეშლილის" თარგმანზედა" - ჟურნალში გამოქვეყნებით საბოლოოდ დაკარგა ჩვეული სიდარბაისლე და წონასწორობა. საქმე სახუმაროდ ნამდვილად არ იყო. ძველს ახალი ერკინებოდა. Aახალი გზა კი ახლებურ სჯასა და ბაასს მოითხოვდა. ახლებური განსჯა კი ძველს ვეღარ შეიგუებდა, ვერ მიიღებდა. მაშ, რა გზით უნდა წასულიყო ქართული საზოგადოებრივი აზროვნება? რა მიმართულებით უნდა ევლო ქართულ ინტელექტუალურ ელიტას?

,,ცისკრის'' მესაძირკვლენიც თავის მხვრივ არაფერს იშურებდნენ ქართული სიტყვის, ქართული ლიტერატურის აღმასვლისათვის. ჟურნალის ერთ–ერთი ყველაზე დაუცხრომელი ქომაგი ალექსანდრე ორბელიანი მორალურთან ერთად მატერიალურადაც დიდ დახმარებას უწევდა ჟურნალს. იგი ,,ცისკრის'' რედაქციას საკუთარ სახლში სთავაზობს ადგილს და იქვე ათავსებს კიდეც. ყველასათვის ცნობილი ფაქტია, რომ ეს გავლენიანი თავადი საკუთარი ოჯახის ძვირფასეულობასაც აგირავებდა, ოღონდაც ჟურნალის გამოცემა არ შეფერხებულიყო. რედაქტორი ივანე კერესელიძე თავდაუზოგავად ზრუნავს ჟურნალისათვის და მოუწოდებს ქართველ საზოგადოებას მხარდაჭერისაკენ, მეტი თანადგომისა და ერთგული სამსახურისაკენ: ,,... ვინც არის წინააღმდეგი ჟურნალისა, ის არის მტერი მამულისა და თავის ენის, ვინც მტრობს თავის ენას... ის არ არის ღირსი ქართველად წოდებისა... ზოგიერთი მზად არის თოფიც ესროლოს ჩვენს ჟურნალსა. მილიონნახევარი ქართველი ვცხოვრობთ საქართველოში და ერთი ჟურნალი თავის

ფეხზე ვერ დაგვიყენებია! პარიზში სამოცი კომლი სომეხი სდგას და იმისთანა ჟურნალი აქვთ, რომ მთელი ევროპა ჰკვირვობსო".(ი. სანიკიძე, 2009:118).

სწორედ ამიტომაც დიდი რისხვა სწორედ ილიას დაატყდა თავს- რისხვა აზრების სითამამისა და გაბედულებისათვის. სარდიონ მესხიშვილის, ექვთიმე წერეთლის, ბარბარე ჯორჯაძის, სულხან ბარათაშვილის და სხვების სახით რედაქტორს- ივანე კერესელიძეს ღიად მოთხოვეს: აეკრძალოს ილია ჭავჭავაძეს ჟურნალ ,,ცისკარში" საქმიანობა. მართლაც 1861 წლის შემოდგომაზე პროტესტის ნიშნად ილია ტოვებს ჟურნალ ,,ცისკარს".

სიმართლის დამტკიცებისათვის ახალი ასპარეზი იყო საჭირო. სწორედ ამიტომაც ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე, თანამოაზრეებთან ერთად (კირილე ლორთქიფანიძე, ივანე ბერიძე, ვახტანგ თულაშვილი, ილია პოლტორაცკი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, აკაკი წერეთელი, ნიკო ღოღობერიძე, დავით ჯაფარიძე...), აარსებს ჟურნალ ,,საქართველოს მოამბეს", რომლის პირველი ნომერი 1863 წლის 7 თებერვალს გამოიცა. ჟურნალის პირველივე ნომერში ილია ბეჭდავს მოწინავე წერილს ,,საქართველოს მოამბეზედ", სადაც გარკვევით აცხადებდა, რომ ,,...ჩვენი საქმე ქართველი ხალხის ცხოვრებაა, მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია". ამ გენიალური წერილით ახალგაზრდა ილია აკეთებს განაცხადს საქართველოს მომავალზე, რომ ქვეყნის პროგრესი მუხლჩაუხრელ შრომასა და გარჯაში, სწავლასა და განათლებაში, მსოფლიო პროგრესსზე თვალყურის მიდევნებაშია, ძველი იდეებითა და შეხედულებებით ქვეყანა წინ ვერ წავა, წელში ვერ გასწორდება, რომ სამშობლო ქვეყნის მომავალი განათლებულ, ნიჭიერ, შრომისმოყვარე და მიზანმიმართულ ადამიანებს ეკუთვნით.

ილია ჭავჭავაძის გვერდით დგომა გმირობის ტოლფასი იყო იმ დროისათვის, რადგან გავლენებითა და ეკონომიური მდგომარეობით ჯერ კიდევ ფეხზე მყარად მდგარი ძველი თაობა, რომელსაც მხარს ხელისუფლებაც უჭერდა, გასაქანს არ აძლევდა ახალფეხადგმულ, მაგრამ მტკიცე და თავდაჯერებულ ახალგაზრდობას. მიუხედავად ამისა, ყველასათვის კიდევ ერთხელ ნათელი შეიქმნა, რომ ,,ცისკარი" დროს ჩამორჩა, იგი ვეღარ პასუხობდა ეპოქის გამოწვევებს. ამ პერიოდის ცნობილი კრიტიკოსი და ლიტერატორი ანტონ ფურცელაძე საკმაოდ მკაცრი იყო ჟურნალ ,,ცისკრის" მიმართ. მართალია იგი ,,ცისკრის" მუდმივი თანამშრომელია, მაგრამ მისმა მკაცრმა და

პირდაპირმა წერილებმა აღაშფოთა დუნე ცხოვრებას მიჩვეული ,,ცისკრის'' თანამშრომელნი: ,,დაარსებიდან ,,ცისკრისა'', ეს ჟურნალი არ შეხებია არც ერთ იმისთანა საგანსა, რომელსაც მოითხოვდა დროების საჭიროება. ბურანი აპატიისა ეხვია ამ ჟურნალს... განათლებული საზოგადოება კბილების ღრჭიალით შესცქეროდა ,,ცისკარს'' და იმის რედაქტორს ასე უწყალოს დავარდნილობისათვის... ყველა ბურთს თხოულობდა და საქმის გაკეთება არავინ არ იკისრა. დარჩათ ბურთი და მოედანი უნიჭო და სიძველის მქადაგებელ ავტორებსა...''

,,ცისკარში" დამკვიდრებული ძველი იდეოლოგების - ,,მამების" წინააღმდეგ მალევე გაილაშქრეს ,,შვილებმა"-ახალმა თაობამ, ვინაც იგრძნო, რომ ილიას მხარდამხარ დგომა და მხარდაჭერა არა მხოლოდ სურვილი, ეპოქალური მოთხოვნაც იყო. გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, ივანე ბერიძე და სხვები სწორედ ,,ცისკრის" ფურცლებიდანვე გამოექომაგნენ ილიას და აშკარა მხარდაჭერა გამოხატეს მის მიმართ. ახალგაზრდა თაობა გრძნობდა, რომ დადგა დრო ახალი პერიოდული გამოცემის დაარსებისა. ცხოვრება ისე სწრაფად წავიდა წინ, რომ ის რაც 1855–58 წლებში პროგრესული და დემოკრატიული ჩანდა, 1861–63 წლებისათვის ჩამორჩენილობად იქცა. საჭირო იყო განახლება, რადგან საზოგადოებრივი აზრის გაყინვა პროგრესისათვის ყველაზე დიდი საფრთხეა. ქართული საზოგადოებრივი აზრისა და კულტურის განვითარებაში ამ გადამწყვეტი გარდატეხის მოხდენა წილად ხვდა პროგრესულ–დემოკრატიული მოძრაობის იდეებზე აღზრდილ, სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ ილია ჭავჭავაძეს, რომელშიაც ,,მაინც და მაინც ქართული დვრიტა იყო დადებული''.

ნიკო ნიკოლაძემ პროგრესული საზოგადოების ერთიანი თვალსაზრისი ცოტა მოგვიანებით გამოხატა ,,საქართველოს მოამბის'' მიმართულების თაობაზე, როცა განაცხადა: ,,დღეს ჩვენ ყველანი ვხედავთ, თუ რას ნიშნავდა ,,საქართველოს მოამბის'' საქმე, მაგრამ არც 1863 წელს იყო ეს დაფარული ვისმესთვის, ყველა გრძნობდა, ყველამ იცოდა, რომ ,,საქართველოს მოამბეს'' უნდა ჩაედგა ჩვენი ახალგაზრდობისათვის ახალი დროების სული, ეჩვენებინა გზა, შეექმნა ახალი სასიყვარულო მიზანი _ მამულის, საზოგადოების სიკეთე და ღირსება''.(შრომები XII,.2016:241). ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიას მანამდე არასოდეს უნახავს ასეთი მწვავე, დაუნდობელი, პრინციპული იდეური შერკინება. დაიწყო

მანამდე უეჭველ ჭეშმარიტებად მიჩნეულ შეხედულებათა გადაფასება. ძველი ციხე–სიმაგრეების დანგრევა ახალი თაობისაგან მოითხოვდა სიმტკიცეს, თავგანწირულობას, ყოველგვარი მოკრძალებისა და მობოდიშების უკუგდებას. ილიასათვის გადამწყვეტი იყო არა გაბატონებული წრეების თვალსაზრისი მისი გამოსვლის შესახებ, არა მათი შეფასება, არამედ ხალხისა და სამშობლოს ინტერესები. საჭირო იყო კერპების მსხვრევა, რათა უფრო მკაფიოდ გამოჩენილიყო ახალი აზრები, ახალი იდეები და ამ იდეებს უფრო სწრაფად და ეფექტიანად გაეკვლია გზა ხალხის გულებისაკენ. როგორც აღინიშნა, პროტესტის ნიშნად 1861 წლის შემოდგომიდან ილია ჭავჭავაძემ ,,ცისკარში'' თანამშრომლობაზე ხელი აიღო.

უპირველეს ყოვლისა, ისმის კითხვა: რას წარმოადგენდა და ვინ იყო იმდროინდელი ქართველი მკითხველი?.. როგორი იყო მისი სულიერი და გონებრივი ავლადიდება, მისი დამოკიდებულება ქართული ჟურნალისადმი? რას მოითხოვდა იგი ქართული ჟურნალის რედაქციისაგან? _ მკითხველები, უმთავრესად, შეძლებული თავადაზნაურები იყვნენ. მათი უმრავლესობა ,,მამა-პაპურ წესებზე იყო აღზრდილი“ და ყოველივე ახალს სიძულვილით ხვდებოდა. მეორე ნაწილი სახელმწიფო სამსახურში იყო მოკალათებული და გარდა კარიერისა, არაფერი აინტერესებდა. ისინი ჟურნალს მხოლოდ ,,მოდისთვის'' თუ გამოიწერდნენ _ სხვების დასანახად, რათა ეჩვენებინათ, შვიდი_რვა მანეთი ჩვენთვის ისე მცირე თანხაა, რომ ამ მოწყალებას ადვილად გავიღებთო“.

ცხოვრებაში მომხდარი სოციალურ – ეკონომიკური ცვლილებების შედეგად, 60 –იან წლებში ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ინტელიგენციის დიფერენცირების პროცესი, მართალია ჯერ კიდევ მცირე რაოდენობით, მაგრამ ასპარეზზე მაინც ვხედავთ ვაჭართა, ხელოსანთა, სასულიერო წოდების პირთა ოჯახებიდან გამოსულ ახალგაზრდა ინტელიგენტებს, რომლებიც ახალ მოთხოვნილებებს უყენებენ ქართულ ჟურნალს. თუ ხელისმომწერთა უმრავლესობას თავადაზნაურობა შეადგენდა, ნამდვილ მკითხველთა მნიშვნელოვანი ნაწილი ზემოაღნიშნული დაბალი ფენების წარმომადგენლები იყვნენ. მათ გვარებს ხელისმომწერთა სიებში თითქმის ვერ ვხვდებით, რადგან ჟურნალის გამოსაწერი ფულიც არ მოეპოვებოდათ, მაგრამ ისინი ან სხვისგან თხოულობდნენ ჟურნალის ნომრებს, ან უფასოდ იღებდნენ სპეციალურად ამ მიზნით დაბეჭდილ ზედმეტ ეგზემპლარებს. ჟურნალისათვის

მატერიალური მხარდაჭერა მკითხველთა ამ კატეგორიას არ შეეძლო. უპირველესი ფაქტორი, რომელსაც ილიამ საქმის დასაწყისშივე ყურადღება მიაქცია, იდეურ თანაგრძნობათა და თანამებრძოლთა წრის შექმნა იყო. მისი რწმენით, ახალი ჟურნალი ამ წრეს უნდა დაყრდნობოდა. ეს სრულიად ახალი მოვლენა იყო ჩვენი ჟურნალისტიკისა და ლიტერატურის ისტორიაში.

თბილისში ილიას გარშემო შეიკრიბნენ: პ. უმიკაშვილი, ვ. თულაშვილი, დ. ყიფიანი, ი. პოლტორაცკი, პ. ნაკაშიძე, ი. წინამძღვრიშვილი და სხვ. ამასთან, ილია და მისი თანამებრძოლები სისტემატიურ მიწერ – მოწერას აწარმოებდნენ პეტერბურგში მყოფ ქართველ სტუდენტებთან _ კირ. ლორთქიფანიძესთან, გ. წერეთელთან და სხვ. დასავლეთ საქართველოში ,,საქართველოს მოამბის'' სასარგებლო აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ: ნ. ნიკოლაძე, ნ. ღოღობერიძე, ი. მამაცაშვილი და სხვ.

1862 წლის თებერვალში ილია ჭავჭავაძემ Aშეძლო ,,საქართველოს მოამბის'' გამოცემის ნებართვის მიღება. ნებართვა გაცემულია გრ. ორბელიანის ხელმოწერით, რომელიც იმ დროს კავკასიის მეფისნაცვალის მოვალეობას ასრულებდა. დამტკიცდა პროგრამაც. გრ. ორბელიანმა უდავოდ მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია ამ საქმეში ახალგაზრდა მოღვაწეს.

,,საქართველოს მოამბე“ მთელი წელი გამოდიოდა. სულ გამოიცა ჟურნალის 12 ნომერი. მიუხედავად მუხჩაუხრელი საქმიანობისა და მრავალი თეთრად გათენებული ღამეებისა, 1863 წლის ბოლოსათვის ილიას ჟურნალს საგრძნობლად გაუჭირდა. ეს პირველ ყოვლისა შეეხებოდა როგორც მასალების ნაკლებობას, ასევე ფინანსურ გაჭირვებასაც. ქართული საზოგადოება ჯერ კიდევ არ იყო მზად ეტვირთა მსგავსი ხასიათის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობანი. როგორც ჩანს ეს ყოველივე მძიმე სოციალური ვითარებისა და თავისუფლებადაკარგული ქვეყნის ერთგვარ ბედისწერასაც წარმოადგენდა. სერიოზული მუშაობა იყო საჭირო ვითარებისა და მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ ფაქტი რჩება ფაქტად: დაიხურა ილიას ,,საქართველოს მოამბე“. ქართული ინტელიგენციის დიდი ნაწილისათვის ეს მეტად მტკივნეულ ფაქტს წარმოადგენდა. ამიტომაც დაიწყო სამზადისი მორიგი ახალი პერიოდული გამოცემის დაარსებისათვის. იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება არ იცნობდა არანაირ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას საქართველოში. არადა ამ დროს ეს სავსებით

შესაძლებელი იყო - ქართული ინტელიგენციის არნახული რიცხობრივი ზრდა უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობას შესანიშნავად განახორციელებდა. სწორედ ამიტომაც დიდი იყო პასუხისმგებლობა ახალი პერიოდული გამოცემისა, რომელიც კონსოლიდირებას მოახდენდა და განათლებისა და წიგნიერების სინათლის სხივს შეიტანდა ქართულ საზოგადოებაში

თავი II

გაზეთ „დროების“ გამოცემის ორგანიზაცია

ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების რღვევისა და ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების შედეგად ქვეყნისა და ხალხის წინაშე მთელი რიგი

ახალი ამოცანები წამოიჭრა. საზოგადოებრივ აზროვნებაში ფეხს იკიდებს და მტკიცდება პროგრესულ-დემოკრატიული იდეები, აღმავლობის გზას ადგება სოციალური და ეროვნული მოძრაობა, მწვავდება კლასობრივი ბრძოლა, აზრთა ჭიდილი და ამის მიხედვით სულ უფრო მეტი გამოცოცხლება ეტყობა ლიტერატურასა და ჟურნალისტიკას. საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების პროცესში მიმდინარეობს მხატვრულ ლიტერატურასა და ლიტერატურულ კრიტიკაში კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრება. საზოგადოების მოწინავე ნაწილი ცდილობს შეცვლილ ვითარებას მოარგოს თავისი სამოქმედო პროგრამა, გაანალიზოს არსებული მდგომარეობა, განსაზღვროს განვითარებული ტენდენციები და გარკვეული პროგნოზი მისცეს მომავალს. მოწინავე ინტელიგენცია უკეთ ეცნობა, როგორც რუსულ ისე ევროპულ ფილოსოფიურ-სოციოლოგიურ თეორიებს და ცდილობენ სამშობლოს წინსვლის პერსპექტივებს სწორი ახსნა მოუძებნონ. საზოგადოებრივ აზროვნებასა და ლიტერატურულ ცხოვრებაში თავი იჩინა აზრთა სხვადასხვაობამ, განუწყვეტელი პოლემიკა მიმდინარეობს სხვადასხვა ჯგუფებს შორის. განახლებისა და გადახალისების ამ ისტორიულ პროცესს ჩვენში სათავეში ედგნენ თერგდალეულები ილია ჭავჭავაძის თაოსნობით. თერგდალეულთა პირველი თაობის პარალელურად უაღრესად აქტიურ მოღვაწეობას ეწევიან ცოტა უფრო მოგვიანებით სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული მოქმედი მცირე ჯგუფები და ცალკეული პირები, თუმცა ისინიც ისეთივე თავდადებით ემსახურებოდნენ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას და სოციალური პროგრესის წინსვლას. ,,ცისკრის“ 1865 წლის ოქტომბრის შინაურ მიმოხილვაში ანტონ ხუციშვილი განიხილავს ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემის საქმეს და მნიშვნელოვან დასკვნებს აკეთებს ,,საქართველოს მოამბის“ დახურვის შესახებ და ახსნას უძებნის რა უშლის ხელს ქართული ჟურნალისტიკის განვითარებას. ცნობილი საზოგადო მოღვაწე ანტონ ფურცელაძე ჟურნალ ,,საქართველოს მოამბის“ დახურვის გამო არწმუნებს საზოგადოებას, რომ ბრძოლა ძველი აზრების მქადაგებლებსა და ახალ თაობას შორის ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდება, რომ განათლებული ყმაწვილკაცობა და ახალგაზრდობა ახალი აზრებისათვის კი არ უნდა მოვიძულოთ, არამედ პატივი უნდა ვცეთ და მხარდაჭერა გამოვუცხადოთ.

,,საქართველოს მოამბის“ შეწყვეტის შემდეგ ახალი თაობის წარმომადგენლები მართავდნენ საღამო-წარმოდგენებს, აგროვებდნენ ძველ ქართულ ხელნაწერებს, ემზადებოდნენ ახალი ჟურნალ-გაზეთების გამოსაცემად. საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა 1865 წლის დასაწყისში კირილე ლორთქიფანიძის მიერ შედგენილმა და პეტერბურგში გამოცემულმა ლექსთა კრებულმა ,,ჩანგურის“ სახელწოდებით. იმავე წლის მარტში ჟურნალი ,,ცისკარი“ ბეჭდავს აკაკი წერეთლის რეცენზიას ,,რამდენიმე სიტყვა ჩანგურის შესახებ“. აკაკი წერეთელი უდიდეს შეფასებას აძლევს ილია ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებას და შეიძლება ითქვას, ეს წერილი ქართული რეალისტური კრიტიკის პირველი ცდაა. ბატონყმობის გაუქმების შედეგად მომხდარმა ცვლილებებმა საზოგადოებრივი აზროვნებისა და მწერლობის მძლავრი გამოცოცხლება გამოიწვია. მოწინავე ინტელიგენცია ნათლად გრძნობდა ქვეყნისა და ხალხის წინაშე თავის მოვალეობას და ცდილობდა ახალი ვითარების შესაბამისი პროგრამა გამოემუშავებინა. ჟურნალისტიკა მაქსიმალურად ცდილობდა აეხსნა ,,მთელი ცხოვრების ვითარება, მისი ეხლანდელი მოძრაობა და მომავალი ბედ-იღბალი“(სერგეი მესხი). ახალი ცხოვრების შენება, საქართველოს წინსვლის ახალი გზების ძიება, კრიტიკული წერილებისა და პუბლიცისტიკის წამყვან თემად იქცა. პრობლემათა გაშუქება-გადაწყვეტაში მკაფიოდ იჩინა თავი აზრთა სხვადასხვაობამ, იდეურმა დიფერენციაციამ, გაჩაღდა თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე კამათი, დაიწყო ჟურნალ-გაზეთების ირგვლივ იდეურ თანამოაზრეთა შემჭიდროება, ბზარი გაუჩნდა ადრინდელ ჯგუფებს. პრესის სიტყვა უფრო ფართოდ შეიჭრა ხალხში, გაიზარდა მისი ძალა და პროპაგანდისტული როლი. რეაქციულ ძალებთან იდეურ ბრძოლაში მოწინავე ინტელიგენცია მტკიცედ იცავს სამოციანელთა პოზიციას და ამავე დროს ეძებს ახალ პრობლემათა გადაწყვეტის გზებს. ,,თუ რუსეთში იტყოდნენ, ჩვენ ყველანი გოგოლის ,,შინელიდან“ გამოვედითო, ასევე უნდა ითქვას ჩვენშიაც, რომ ,,საქართველოს მოამბის“ კალთიდან გამოვიდნენ ყველა მიმართულებანი, რომელთაც ადგილი ჰქონდათ მე-19 საუკუნეში“. (ვ.კოტეტიშვილი,1959:65). 1864-66 წლებში ,,საქართველოს მოამბის“ დახურვიდან ,,დროების“ დაარსებამდე ახალი ბეჭდური გამოცემის თაობაზე სამოციანელთა შორის აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი. ნაწილი მოითხოვდა დაეარსებინათ ჟურნალი, ზოგიერთისთვის კი გაზეთის

დაარსება იყო უფრო მნიშვნელოვანი. გაზეთის დაარსების იდეას მხარს უჭერდა ილია ჭავჭავაძე და მისი ყოფილი თანამშრომლები.1865 წელს მათ შორის მიმოწერა გაიმართა. მიმოწერაში ჩართული იყვნენ პეტერბურგში განათლების მისაღებად წასული ახალგაზრდები: ნიკო ღოღობერიძე, კირილე ლორთქიფანიძე, დავით ღოღობერიძე და სხვები. ამის თაობაზე ნ.ღოღობერიძეს კირილე ლორთქიფანიძისათვის გადაუგზავნია შემდეგი შინაარსის წერილი ,,...ჩვენი აზრით, გაზეთი უფრო სასარგებლო იქნება ჩვენი ხალხისთვის, მინამ ჟურნალი. ჟურნალის დიდ სტატიებს ვერ ერეოდნენ ჩვენი მოუმზადებელი მკითხველები. გაზეთის მოკლე სტატიები, ცხოვრების შესახებ ამბები უფრო გაართობს საზოგადოებას". (გ.წერეთელი,1931:408). უდავოდ ეს ქონდა მხედველობაში სტეფანე მელიქიშვილს, დროების ათი წლისთავზე რომ განაცხადა: ,,პირველი აზრი ამ გაზეთის გამოცემისა, რომლის გამომცემელი მე გახლავართ და რომლის ათი წლის არსებობას ჩვენ დღეს ვდღესასწაულობთ, ეკუთვნის ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც პირველად გამოთქვა ეს აზრი, ,,საქართველოს მოამბის" დახურვის შემდეგ". ეს იყო ისტორიულად სწორი გადაწყვეტილება. ,,შიმშილს მოითმენს საზოგადოება, წყურვილს, დასთმობს უჯარობას, უვაჭრობას, უგზოობას აიტანს, მაგრამ უგაზეთობა კი ისე შეუძლებელია მისთვის, როგორც შეუძლებელია უჰაეროდ ცხოვრება". (ა. კალანდაძე,1987:10) XIX საუკუნის 60–იან წლებში, როგორც აღვნიშნეთ, განსაკუთრებით საგრძნობი იყო ქართული ინტელიგენციის დიფერენცირების პროცესი. ცხოვრების ასპარეზზე გამოდიან და საკუთარ ადგილს მყარად იმკვიდრებენ ვაჭართა, ხელოსანთა, სასულიერო წოდების პირთა ოჯახების წარმომადგენლები, რომლებიც ნამდვილი მკითხველის პოზიციიდან გულშემატკივრობდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებას, თუმცა ქონებრივად ჯერ კიდევ ღარიბ– ღატაკები იყვნენ. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის მკითხველთა ძალზე დიდი ნაწილის კულტურულ-საგანმანათლებლო თვალსაწიერი ვიწროა და მოუმზადებელი. ,,ყარამანიანისა'' და ,,ვისრამიანის'' გარდა მათ არაფერი წაეკითხათ. მაგალითი ამისა: ვინმე ტატო მაყაშვილი 1860 წლის სექტემბრის ,,ცისკარში'' წერს: ,,...დამაფიქრა ბაქარ ქართლელის წიგნმა და შემაწუხა, ასე მგონია ჩემი გულითადი მეგობარი ჩამოსულა და ბაქარ ქართლელისათვის უანბნია ჩემი გარემოება მეთქი. ,,ცისკარი'' ვეღარ გამოვიწერე და უფალი რედაქტორი, რადგანაც მიცნობდა, უფასოდ მიგზავნიდა

,,ცისკარსა''... მიყვარს სხვამ წაიკითხოს და მე ყური ვუგდო იმ წიგნსა, რომელშიაც მე ფული მიმიცია... არ ვიცი რას მივაჩემო? დიდკაცობასა, დაუდევნელობასა თუ ზარმაცობასა. თავი ისე გავიმართლე, ბევრი წავიკითხო, თვალები მეტკინება მეთქი... ამ მიზეზებს ვფიქრობ და მეზარება წაკითხვა...'' (შრომები XII, 2016:237). დღის წესრიგში დადგა ახალი პერიოდული გაზეთის ,,დროების" გამოცემის საკითხი. საინტერესოა ცნობილი საზოგადო მოღვაწის სტეფანე მელიქიშვილის სიტყვა ,,დროების" ათი წლისთავზე: ,,პირველი აზრი ამ გაზეთის გამოცემისა, რომლის გამომცემელი მე გახლავართ და რომლის ათი წლის არსებობას ჩვენ დღეს ვდღესასწაულობთ, ეკუთვნის ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც პირველად გამოთქვა ეს აზრი ,,საქართველოს მოამბის" დახურვის შემდეგ".(ა. კალანდაძე,1987:10). ჯერ კიდევ 1864 წლის მაისში ნ.ღოღობერიძე პეტერბურგში მყოფ კირილე ლორთქიფანიძეს ატყობინებდა: მე, ვახტანგ თულაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე და სტეფანე მელიქიშვილი სტამბის გახსნას ვაპირებთ... თუ ღმერთმა ქნა და გავაწყეთ კარგად, მაშინ იმედია თქვენის (სტუდენტების) შემწეობით, რამეს მოვახერხებთ"(იქვე). ამგვარმა ღონისძიებებმა და მუხლჩაუხრელმა მეცადინეობამ შედეგიც გამოიღო და სულ მალე კავკასიის საცენზურო კომიტეტში გ. წერეთლისა და სტ. მელიქიშვილის მიერ შედის განცხადება გაზეთ ,,დროების"გამოცემის ნებართვისთვის. მთავარმა სამმართველომ დააკმაყოფილა ეს თხოვნა და 1865 წლის 30 დეკემბერს საცენზურო კომიტეტს აცნობა: ,,მეფისნაცვალმა ინება უფლება მიეცეს თბილისის მოქალაქეს მელიქოვსა და ს-პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილ სტუდენტს წერეთელს გამოსცენ ქართულ ენაზე გაზეთი, სახელწოდებით ,,დროება", მათ მიერ წარმოდგენილი პროგრამის შესაბამისად, იმ პირობით, რომ მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრების მიმოხილვას გადმობეჭდავდნენ მხოლოდ ოფიციალური გაზეთებიდან (იქვე).

,

,დროების" პროგრამა და განყოფილებები


№ 105 1866—1876 № 105

დროება

„დროებაზე"

საქართველო

1865 წლის შემოდგომაზე გ.წერეთელმა და სტ. მელიქიშვილმა საცენზურო კომიტეტს დასამტკიცებლად წარუდგინეს შემდეგი პროგრამა:

პირველი განყოფილება: მთავრობის განკარგულებანი და შინაგანი ცნობები, რომლებიც შეეხებიან რუსეთისა და განსაკუთრებით ამიერკავკასიის მხარეს. აქ შევა კორესპოდენციები განსაკუთრებით ამიეკავკასიის მხრიდან. მაგრამ მთავარი ყურადღება რედაქციისა მიქცეული იქნება საკანონმდებლო მოძრაობაზე რუსეთში ამიერკავკასიის მხარესთან დაკავშირებით. უმთავრესი სტატიები ამ განყოფილებისა გადმოღებული იქნება რუსული პერიოდული გამოცემებიდან.

მე-2 განყოფილება: მიმდინარე პოლიტიკური ცნობები, გადმოღებული იქნება განსაკუთრებით რუსული დროგამოშვებითი გამოცემებიდან, ტელეგრამები.

მე-3 განყოფილება: მეცნიერება და ხელოვნება. ამ განყოფილებაში შევა მეცნიერული შინაარსის სტატიები ცოდნის ყოველი მხრიდან. აქ განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული რუსეთის და განსაკუთრებით კავკასიის ისტორიასა და ეთნოგრაფიას, აგრეთვე იქნება ცნობანი სახალხო მედიცინასა და განსაკუთრებით აქაურ ცხოვრებაზე.

მე-4 განყოფილება: ბელეტრისტიკა და ფელეტონი რუსული და განსაკუთრებით აქაური ცხოვრებიდან.

მე-5 განყოფილება: ახლად გამოსული რუსული, უცხოური და ქართული წიგნების ბიბლიოგრაფია, კრიტიკული სტატიები რუსული და აქაური ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის შესანიშნავ მოვლენებზე.

მე-6 განყოფილება: ნარევი, რომელიც შედგენილი იქნება წვრილ-წვრილი ამბებიდან და ცნობები მეცნიერების, ხელოვნების, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სესახებ.

მე-7 განყოფილება: სახაზინო და კერძოობითი განცხადებანი, გარდა ამისა დროიდან დრომდე გაზეთთან ერთად გამოიცემა ფურცლის ან ბროშურის ფორმატით დამატებანი, რომლებშიც მოთავსებული იქნება სამეცნიერო შინაარსის სტატიები ანდა ორიგინალური ან თარგმნილი რომანები, მოთხრობები, ამბები, დრამები, კომედიები და ა.შ., რომლებიც მოუხერხებელი იქნება გაზეთის ტექსტში მოსათავსებლად.

გაზეთი ,,დროება“ გამოვა 1866 წლის პირველი იანვრიდან, კვირაში ერთხელ, ორშაბათობით, ერთიდან ორ დაბეჭდილ ფურცლამდე“(ა.კალანდაძე,1987:12). როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, პირველი ნომრის მოწინავეს დაწერა ინიციატორებს ილია ჭავჭავაძისათვის უთხოვიათ. ამ მიზნით ილიას დაუწერია წერილი ,,ზოგი რამ“, რომელიც ცენზურას დაუბლოკავს მათთვის მიუღებელი აზრებისა და შეხედულებების გამო. აღნიშნულთან დაკავშირებით ცნობილი მკვლევარი და ლიტერატორი პ. ინგოროყვა აღნიშნავს მიზეზს და ხაზს უსვამს ,,ეროვნულ რადიკალიზმს, რომელიც ჩქეფს ამ წერილის თითოეული სტრიქონიდან“. (პ.ინგოროყვა,1963:437). ეს წერილი ილიამ მოგვიანებით 1876 წელს გადაკეთებული სახით გაზეთ ,,დროებაში“ გამოაქვეყნა. აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით სხვადასხვა მკვლევართა მხრიდან განსხვავებული ვერსიებია წარმოდგენილი. ი. მანსვეტაშვილი აღნიშნული წერილის ავტორად მიიჩნევს სტეფანე მელიქიშვილის ძმას, თუმცა აზრი არაა დოკუმენტურად დადასტურებული.(ი.მანსვეტაშვილი,1936:129). ცნობილი კრიტიკოსი ანდრო ჭილაია ამ წერილის ავტორად მოიხსენიებს გ.წერეთელს. ეს საკითხი საგანგებოდ შეისწავლა მკვლევარმა ნ.კილანავამ და დაადგინა, რომ ,,ტფილისი, 4 მარტს“ წერილი ეკუთვნის სტეფანე მელიქიშვილს (ა.კალანდაძე,1987:13). სტეფანე მელიქიშვილის წერილიდან ყველაზე მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ

,,დროება“ იქნება ჟურნალ ,,საქართველოს მოამბის“ საქმის გამგრძელებელი. ,,ქართულ ენაზე ჯერ ჩვენ არა გვაქვს ჟურნალი, რომელსაც კი თავის მნიშვნელობა ესმოდეს. ამ სამი წლის წინ დაწესდა ,,საქართველოს მოამბე“ კარგის მიმართულებით, მაგრამ, საუბედუროდ, ერთი წლის მეტი იმას არ უცოცხლია“. მოწინავე საპროგრამო წერილი გამსჭვალულია ეროვნული პათოსით, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის განსაკუთრებული გრძნობით. ,,ამ 1866 წლით ვიწყებთ ქართული გაზეთის გამოცემასა. ჩვენს აზრში ეს წელიწადი დარჩება შესანიშნავს დროთ: ქართულს ენაზედ გაზეთი სრულიად ახალი საქმეა და ყოველივე ამგვარი საქმე ნაბიჯის წინ გადადგმაა. ვისაც კი ესმის ჟურნალების მნიშვნელობა ხალხის განათლებაში, ის რასაკვირველია, მოხარული იქნება ამ ამბით. ქართველებში უწინაც გავრცელებული იყო კითხვისა და სწავლის სიყვარული, დარწმუნებით ვიცით, რომ აწინდელს დროს საკითხავის წიგნის საჭიროებას მთელს საქართველოში გრძნობენ. ახლა რედაქციაზედ არის დამოკიდებული ამ საჭიროების დაკმაყოფილება. რა ხასიათი უნდა მიიღოს ,,დროებამ“, რა მიმართულებას უნდა დაადგეს ისა, ეს თავდაპირველივე უნდა არმოჩნდეს, ,,დროებამ“ უნდა იქონიოს მხედველობაში გონების გახსნა, ნამდვილის ცოდნის გადაცემა მკითხველისათვის და არა დროს გატარება იმისი.“ (ა. კალანდაძე,1987:14). სტ. მელიქიშვილი ცდილობს, დაასაბუთოს პრესის როლი ხალხის ცხოვრებაში, რისთვისაც მიმოიხილავს მსოფლიო ჟურნალისტიკის ისტორიას, გვაცნობს ევროპაში მოგზაურობის პირად შთაბეჭდილებებს, ადგილობრივი ვითარების ტენდენციებს. ქართველი მკითხველი ბევრს სიახლეს იგებს ამ უპრეტენზიოდ დაწერილი მეთაურიდან. მას თავისთავადი საგანმანათლებლო მნიშვნელობა აქვს. ,,ჟურნალებსა და გაზეთებს დიდი გავლენა აქვთ დაწინაურებულს ქვეყნებში, ჩვენს დროში ისინი შეადგენენ განათლების ზომასა და აუცილებელს საჭიროებს ხალხის წარმატებისათვის“ (როცა ბეჭდვა არ იყო შემოღებული, ნაწერს არ ჰქონდა ის მნიშვნელობა, რომელიც დღეს აქვს). ,,ამ საქმის საფუძველი დაიდვა მეთხუთმეტის საუკუნის ნახევარში, როცა ნემეცმა გუტენბერგმა მოიგონა ბეჭდვა და მოკლეს ხანში ევროპამ მიიღო... სახელი გაზეთი უფრო გვიან არის შემოღებული, მეჩვიდმეტეს საუკუნის დასაწყისში(სხვა და სხვა ქვეყნებში გავრცელების ისტორია)... რამდენადაც ხალხი უფრო წინ არის წასული განათლებით,... იმდენად უფრო მეტი

გაზეთი და ჟურნალი აქვს.“ სტ. მელიქიშვილი ხაზს უსვამს ჟურნალ-გაზეთის საგანმანათლებლო ამოცანებს, იცის რა მდგომარეობაა ჩვენს ქვეყანაში და ქართული პრესის უმთავრეს მოვალეობად უბრალოდ წერა-კითხვის გავრცელებას თვლის. თანამედროვეებს მაგალითად უსახავს ევროპის სწავლა-განათლებას. ,,ამ სტატიის ავტორი განცვიფრებაში მოსულა, როდესაც პარიზში ან ვენაში უნახავს უბრალო კუჩერი, უბრალო მუშები, რომელთაც უბეში სდებიათ გაზეთები და თავისუფალ დროს კითხვა დაუწყიათ, და გერმანიის სოფლებში რომ შესულა, თვითეულს ოჯახში გაზეთები დახვედრია. აქედან ჩანს, რომ გაზეთი არის ხალხისათვის საუკეთესო შკოლა... გაზეთით ის შენიშნავს თავის ნაკლულევანებას და ამოიკითხავს ღონისძიებებს, რომლითაც ეს ნაკლულევანება უნდა ამოიკვეთოს. გაზეთის კითხვა იმას გონებას უხსნის, თვალს უხელს და უკეთესის მიმართულების გზაზე აყენებს. ... ურიგო არ იქნება, გავიხსენოთ, რომ ანალოგიური შეხედულება უფრო ადრე ,,სალაყბო ფურცელშიც“ გამოითქვა, მაგრამ აქ პრობლემა მეტი სიღრმითაა დაყენებული. ლაპარაკია არა განყენებულად ცოდნის გავრცელებაზე, არამედ მის პრაქტიკულ მნიშვნელობაზე, პრესის შემაკავშირებელ და მაორგანიზებელ როლზეც კი. ,,დარწმუნებით ვიტყვით, რომ რედაქციას სხვა აზრი არა აქვს რა, იმის გარდა, რომ ჭეშმარიტების გავრცელებას და ხალხის კეთილდღეობას მოეხმაროს... სნეულების განკურნება მაშინ შეიძლება, როდესაც ავადმყოფი... თავის მდგომარეობას დაწვრილებით გამოააშკარავებს და ექიმს უამბობს... თუ ჩვენ ჩვენს ნაკლოვანებებს არ დავფარავთ, მისი ამოკვეთის ღონისძიებაც ადვილი იქნება... ,,ბევრი ამისთვის შეჰრისხავს ,,დროებას“, მაგრამ უკან არ დავიხევთ, შეიძლება, მეტად მკაცრიც ვიყოთ, მაგრამ ნურც ამას გაგვიმტყუნებთ, ,,რომ უფრო ადვილად ამოვკვეთოთ, განგებ წარმოგვიდგენენ ხოლმე იმას გადაჭარბებით“. თაოსნებს სჯეროდათ, რომ ,,დროება“ ცოტაოდენ მოძრაობას მაინც მისცემდა საზოგადო გონებას, საზოგადო ყოფაცხოვრებას.“ გაზეთს ერთი იმისთანა მნიშვნელობაც აქვს, რომელიც არ უნდა დავივიწყოთ; გაზეთი აერთებს და აკავშირებს მთელ ხალხს... ინგლისელი მწერალი ჯონ სტიუარტ მილი ამბოს, შეერთების ყველაზე კარგი ღონისძიება არის... გაზეთი. ,,გაზეთმა უნდა ჩააგონოს, რომ მკითხველმა თავისი ყოფაქცევა და ცხოვრება ისე წაიყვანოს, რომ გლეხკაცს გზა არ შეუკრას, არ დაუშალოს ბედნიერი ცხოვრება,...

> გლეხსაც შეეძლოს სწავლა,... ,,ოფლითა შენითა სჭამდე პურსა“... ,,შეიყვარე ადამიანი, როგორც თავი შენი გიყვარს“. (ალ. კალანდაძე, 1987:17).

საპროგრამო ხასიათის წერილები და წამყვან თანამშრომელთა მოგონებები გვიმტკიცებს, რა ადგილი ეკავა ,,დროებაში“ ეროვნულ კულტურას, ლიტერატურისა და ხელოვნების პრობლემებს. ნ. ნიკოლაძე თავის ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს: ,,ლიტერატურული მხრივ გაზეთი ყოველთვის იდგა რეალისტური სკოლის თვალსაზრისზე, თუმცა ლიტერატურული და კრიტიკული განყოფილება არასოდეს არ თამაშობდა განსაკუთრებულ როლს“.

გაზეთის საპროგრამო პოზიციის დადასტურებაა ს. მესხის სიტყვა ათი წლის თავის იუბილეზე. ,,თავის ათი წლის სიცოცხლეში ,,დროებას“ ერთი საზოგადო სახელმძღვანელო ჰაზრი ჰქონდა, ეს ჰაზრი იმას არასოდეს არ გაუშვია ხელიდან და იმედია, არც შემდეგში მიატოვებს. იმას ესმოდა და ესმის სამშობლო ენისა და ლიტერატურის მნიშვნელობა ყოველი ხალხისათვის. იმას ესმოდა და ესმის, რომ ლიტერატურა საზოგადოდ და პერიოდული განსაკუთრებით ძალაა, რომ ყოველმა პატიოსანმა კაცმა ეს ძალა თავისი ქვეყნის სასარგებლოდ უნდა მოიხმაროს. იმას ესმოდა და ესმის, რომ კაცობრიობა ერთს წერტილზე ვერ გაჩერდება, რომ დროთა ვითარება თავისას თხოულობს, რომ ერთს ალაგს გაჩერება რომელსამე ხალხისა პირველი ნიშანია... ამ ხალხის სიკვდილისა და ისტორიიდამ გაქრობისა. ამ რწმუნების დაგვარად ,,დროებას“ თავის წრეში შრომა და ერთგულება არ დაუკლია და შემდეგშიც იშრომებს, იშრომებს მით უმეტეს კმაყოფილებით და ენერგიით, რომ იცის ეს შრომა, რაც უნდა მცირე იყოს, ცოტა სარგებლობას მაინც მოუტანს იმ ყველასთვის ძვირფას საგანს, რომლის სიკეთისა და წარმატებისთვის ათასობით და მილიონობით ადამიანს შეუწირავს თავი და რომელსაც... სამშობლო ჰქვიან“. (ს. მესხი,1964:191).

რედაქცია ცდილობდა, ნომრიდან ნომრამდე გაეფართოებინა პროგრამა, დაეხვეწა სტრუქტურა, შემოეტანა ახალი რუბრიკები. მართალია, ხელმოწერის განცხადებები იწყებოდა ტრაფარეტული გამოთქმით: ,,დროება“ 1867 წელს გამოვა იმავე მიმართულებით და იმავე რიგით, როგორც გამოდის 1866 წელს, მაგრამ იქვე გვხდება დამატებითი განმარტებები: დრო იცვლება, ბევრი რამ, რაც ჩვენის მამა-პაპებისათვის იყო საჭირო, ახლა იმათი შთამომავლობისათვის გამოსადეგი

აღარაა,...ზოგიერთი რამ, რაც საჭიროდ მიგვაჩნდა, ის ჩვენს დროს უვარგისად მიაჩნიათ და ჩვენც თავი დავანებეთ... ამ კანონს ვერ წაუვა ვერც ერთი ხალხი, რომელზედაც კი შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილად ცხოვრობს.

ჩვენ უნდა ვეცადოთ დავსტოვოთ ყოველივე უვარგისი ჩვენს ცხოვრებაში, რაც კი გვიშლის ნამდვილს განათლების გზას დავადგეთ და დავუახლოვდეთ იმ ხალხს, რომელიც ჩვენზედ წინ არის, ვისგანაც გვმართებს მივიღოთ ბევრი სწავლა...

ახლანდელ გაზეთს და ჟურნალს უნდა ჰქონდეს ის მნიშვნელობა, რომ ნათელის გარკვევით გააადვილონ ყველა ნამდვილი და კანონიერი სურვილი და საჭიროება, აგრეთვე იმათ უნდა უჩვენონ საზოგადოებას,... როგორ და რა რიგად მოიპოვონ ეს საჭიროება... ჩვენ თვითონვე ვაღიარებთ, რომ იქნება ბევრი რამ ვერ ავასრულეთ, რაც ამ წელიწადს ბევრი იმისთანა ცვლილებანი მოხდნენ, რომელთაც დაგვიშალეს ჩვენი პროგრამის სრულად ასრულება... ჩვენის მხრით მეცადინეობა არ მოგვიკლია“.

ჩვენი აზრით, ეს საკითხიც სწორად ჰქონდა გაგებული არჩილ ჯორჯაძეს, რომელიც წერდა: ,,დროება“-,,კრებული“ ერთი წრის გაზეთი იყო. ეს იყო იდეური გაგრძელება 1861 წლიდან დაწყებული მუშაობისა... ,,დროება“-,,კრებული“ გონიერი შარაგზა არის ჩვენის საზოგადოებრივი განვითარებისა; ეს ის ,,ყორღანია“, რომელიც გვიჩვენებს მიჯნას, სადაც ძველი... თაობა საბოლოოდ დამარცხებული იყო ახალი თაობის მიერ, იმ თაობისა, რომლის სულისჩამდგმელი იყო ილია ჭავჭავაძე... ახალმა თაობამ შესძინა ჩვენს საზოგადოებას ,,საქართველოს მოამბე“, ,,დროება“ და ,,კრებული“. გამოაკელით ჩვენს ჟურნალისტიკას ეს სამი ორგანო და თქვენ ნიადაგს გამოაცლით ჩვენს თანამედროვე ეროვნულ-კულტურულ ვითარებას“.(ა. ჯორჯაძე, 2010:152).

როგორც აღინიშნა, 1866 წლის მარტიდან გიორგი წერეთლის რედაქტორობით გამოსვლა დაიწყო ახალმა ქართულმა საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთმა ,,დროებამ”, რომლის გარშემო თავი მოიყარეს ახალი თაობის ქართველმა მოღვაწეებმა. ამ დროს დუშეთში მოსამსახურე ილია ჭავჭავაძეს ,,დროების” პირველი ნომრისათვის დაუწერია შესანიშნავი პუბლიცისტური წერილი. ,,ზობიერთი რამ”, რომელსაც თავდაპირველად ,,ტფილისი” რქმევია, მაგრამ პ.ინგოროყვას სიტყვებით, რომ ვთქვათ, ,,ავტორის ეროვნული რადიკალიზმი, რომელიც ჩქეფს ამ წერილის თვითეული სტრიქონიდან, იყო იმის მიზეზი, რომ წერილი ცენზურას აუკრძალავს”. ვერც 1872 წლისთვის მოუხერხებია ილიას მისი ჟურნალ ,,კრებულში” დაბეჭდევა,

მხოლოდ ათი წლის დაგვიანებით, გაზეთ ,,დროების" 1876 წლის 14 მარტის ნოემბერში მოხერხდა ,,ზოგიერთი რამ"-ის გამოქვეყნება.

ენა, ეროვნება, სამშობლო - აი, კითხვები, რომლებსაც თავს დასტრიალებს ილია ამ წერილში და განგაშს სტეხს ამ დროს საქართველოში, შექმნილი მდგომარეობის გამო: ,,სადღა არის ეხლა ქართული ენა? ან გვინდაღა ქართული, როცა ჩვენ თვითონ ჩვენდა დასაღუპავად ქართველობაზედ ხელი ავიღეთ? გონებით, რომ აღარ ვცხოვრობთ, ქართულ ენას აზრს როგორღა გამოათქმევინებთ? ერთობისათვის, რომ აღარა ვართ, ერთნაირს სიტყვის ნიშვნელობას როგორ მოვსთხოვთ ჩვენს ენასა?... საერთო სახელი ქ ა რ თ ვ ე ლი კერძოობითად გავხადეთ, მ ა მ უ ლ ი დანეხვილ ნაფუძვრად გარდავაქციეთ, პ ა ტ ი ვ ი - ნეხვად, თ ა ვ ი - გოგრად, და ჩვენი უადამიანობა იქამდინ მივიყვანეთ, რომ კ ა ც ი კაცს აღარ ნიშნავს, თუ ზედ კ ა ც უ რ ი არ დავუმატეთ, და მის შემდეგ კიდევ გინდათ, რომ ენა გვქონდეს?...სადღაა ქართული ენა? ქართველობა გათავ-თავდა. სადღა გაიგდას ქართულმა ენამ თავისი ფესვი საერთო აზრიანობისათვის?"-კითხულობს მწერალი და დასძენს: ,,შენ შენთვისო, მე ჩემთვისო, - ძმებმა ერთმანეთს ვუთხარით, ცივად ერთმანეთს თავი დავუკარით, უცრემლოდ ძმა ძმას გამოვესალმენით, უკანასკნელი საერთო სიტყვა ,,მშვიდობით" უკანასკნელად ვახსენეთ, შენ იქეთ წახველ და მე აქეთ, თვითეულად თავ-თავად, და ვინ იცის, როდესღა შევხდებით ერთმანეთს, რომ კიდევ ძმური, ერთიანი, განუყოფელი ქართული ,,გამარჯვება" მითხრა შენ-მე, და მე-შენ, ჩემო დაკარგულო ძმაო, თუ დაო!...

მწერალი შეშფოთებულია ერის დაქუცმაცებით, ერთიანი ეროვნული ძალების დაშრეტით: ,,...ქართველი ჩვენის ტომის საერთო სახელი აღარ არის, აღარც შინა და აღარც გარეთ, არც მახლობლისათვის და არც უცხოსათვის. იმერელი-იმერელია, გურული-გურული, მეგრელი-მეგრელია, ქართველი-ქართველია, და სულ ყველანი კი ერთად ქართველები არ არიან. ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა, ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში-ყველა, საცა, თითოეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა ,,მე" ხშირია და ,,ჩვენ"-იშვიათი!"(შარაძე, 1987:228)

დუშეთში ცხოვრების პერიოდში ილიას მიერ შექმნილი პირველი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ქმნილება იყო ,,გლეხთა განთავისუფლების

პირველი დროების სცენები”(დაიწერა 1865 წ.), რომელიც სწორედ ,,ცხოვრების მორევში“ - მომრიგებელ შუამავლად სამსახურის დროს ,,ნაპოვნი საგნებითა” და საკუთარი თვალით ნანახ-განცდილი ეპიზოდებით არის ნასაზრდოები. ,,გლახის ნაამბობისა” და ,,კაცია-ადამიანის” ავტორი ,,სცენებშიც” არ ღალატობს რეალისტური ხელოვნების პრინციპებს და დიდი სიმართლით აღბეჭდავს ბატონყმობის გაუქმების დასაწყის ხანას აღმოსავლეთ საქართველოში. ილიას ეს თხზულება გამოქვეყნდა გაზეთ ,,დროებაში” 1867 წელს (#33, გვ.2-6) და გავრცელდა გაზეთიდან ცალკე ამონაბეჭდი 45-გვერდიანი წიგნაკის სახითაც, რომლის ერთი ეგზემპლარი ლიტერატურულ მუზეუმშია დაცული. ,,სცენებს” იმთავითვე მიუპყრია მკითხველის ყურადღება და შინაურ წარმოდგენადაც დაუდგამთ თბილისში 1870 წელს (იხ. ,,დროება”, 1870, #47, გვ. 3, ,,დროება”, 1871, # 1, გვ. 2).მას შემდეგ ილიას აღნიშნული ქმნილება არაერთხელ წარმოუდგენიათ ქართული თეატრის სცენაზე.

გაზეთ ,,დროების“ რედაქტორები, პერიოდულობა, ტირაჟი, ფასი, ხელისმოწერა-გავრცელება, სტამბა


№ 105 1866–1876 № 105

დროება

„დროებაზე"

საქართველო

გაზეთმა „დროებამ" 5 რედაქტორი გამოიცვალა:

გ.წერეთელი - ცნობილი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, პირველი რედაქტორია გაზეთისა, რომელიც 1866–1869 წწ. უძღვებოდა პროფესიულ

საქმიანობას

ს. მესხი _ „დროებას" 1869 – 1873 წწ. და 1874 – 1883 წლებში რედაქტორობდა. სწორედ ის იყო ყველაზე ხანგრძლივად ამ მეტად საპატიო სამსახურში და ერთგულებითა და რუდუნებით ემსახურებოდა მშობელ ქვეყანასა და ხალხს.

კირ. ლირთქიფანიძე _ 1873 _ 1874 წლებში რედაქტორობდა გაზეთ ,,დროებას“. ეს ის პერიოდია, როდესაც სერგეი მესხი მიემგზავრება საზღვარგარეთ და დროებით რედაქტორის მოვალეობას, დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში, ასრულებდა ნიჭიერი პუბლიცისტი და თერგდალეულთა ღირსეული წარმომადგენელი.

ი. ჭავჭავაძე (ს. მესხთან ერთად) 1880 _ 1881 წწ. ,,დროება-ივერიის“გაერთიანებულ რედაქციას უძღვებოდა. ამ დროისათვის ეს ორი გამოცემა გაერთიანდა და რედაქტორის პასუხისმგებლობა ორივე პიროვნებაზე თანაბრად გადანაწილდა.

ივ. მაჩაბელი _ 1883 _ 1885წ. ხელმძღვანელობდა გაზეთს. 1883 წელს გარდაიცვალა სერგეი მესხი და მის ნაცვლად სწორედ ივანე მაჩაბელი დაინიშნა. ნიჭიერი ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე. სწორედ მან ილია ჭავჭავაძესთან ერთად თარგმნა 1873 წელს შექსპირის ,,მეფე ლირი". იმავე წელს თარგმანის ქართული ვერსია დაბეჭდილია ჟურნალ ,,კრებულში". ,,1883 წელს ავად გახდა ს. მესხი. გაზეთ ,,დროებას" პატრონი უნდოდა და ფულსაც შოვნა ავადმყოფი რედაქტორის სამკურნალოდ, გაზეთის ვალების გადასახდელადაც. ილიამ იკისრა ფულის მოგროვება შეძლებულ ქართველთა შორის და რედაქტორადაც დაასახელა არა ვანო, არამედ ნ. ქანანოვი, რომელმაც უკვე დაბეჭდა შესაფერი განცხადება და ახალი რედაქციის შედგენასაც შეუდგა. ვანომ ეს იწყინა, მისი თავმოყვარეობა შეილახა. ვანომ მიატოვა ,,ივერია", პირადად იშოვნა ფული და დაიმტკიცა რედაქტორობა გაზეთისა". (ი.ჭავჭაქვაძე,1961:49). ,,შრომისმოყვარე იყო, მოუსვენარი, უსაქმურად ვერ დადგებოდა და ბევრის ატანაც შეეძლო, რა საზოგადო საქმესაც იკისრებდა, სულითა და გულით ეძლეოდა". (აკ. წერეთელი, 1940:403).

რედაქცია

,,დროებას" სათავეში ედგა თანამოაზრეთა ჯგუფი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა როგორც ორგანიზაციულ-ფინანსურ, ისე ლიტერატურულ საქმიანობაში. უწინარეს ყოვლისა, ეს იყო სტამბის დამაარსებელი ამხანაგობა: ნ. ღოღობერიძე, სტ. მელიქიშვილი, დიმ. ბაქრაძე, ვახ. თულაშვილი. როგორც საბუთებიდან ჩანს, სარედაქციო მუშაობაში რედაქტორის მთავარ დასაყრდენად დიმ. ბაქრაძე ითვლებოდა. სხვადასხვა დროს გამოირჩეოდნენ წამყვანი თანამშრომლები, რომლებიც რედაქტორზე არანაკლებ გავლენას ახდენდნენ გაზეთის მიმართულებასა და ავკარგზე. მათ შორის მთავარია ნიკო ნიკოლაძე, რომელიც კრიტიკის განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

,,დროებამ" 70-იანი წლებიდან მძაფრად იგრძნო რედაქციის შექმნის საჭიროება. მართალია, გამოთქმა ,,დროების" რედაქცია" ხშირად გვხვდება, მაგრამ მასში მხოლოდ რედაქტორი იგულისხმება. 1876 წ. ივნისში სარედაქციო კოლეგიის წევრობის კანდიდატებად დაუსახელებიათ ი. ჭავჭავაძე, ს. მესხი, ბეს. ჯაფარიძე, დ. ჩხოტუა, ნ. ნიკოლაძე, აკ. წერეთელი, ბეს. ღოღობერიძე, ნ. ღოღობერიძე, რომელთაგან პირველი ოთხი ამოურჩევიათ.

პერიოდულობა

,,დროება“ დაარსდა, როგორც ყოველკვირეული გაზეთი, რომელიც პარასკეობით გამოდიოდა. მაგრამ ,,დროების“ გამომცემლად ითვლებოდა ,,ამხანაგობის“-სტ. მელიქიშვილის, ვ. თულაშვილის, დიმ. ბაქრაძის და ნ. ღოღობერიძის სტამბა, რომელიც უფრო მომგებიანი დაკვეთით(განცხადებები, აფიშები, ბლანკები და სხვა.) იყო დაინტერესებული, რის გამოც ,,დროება“ ნაცვლად პარასკევისა, კვირას ან ორშაბათს გამოდიოდა, რაც ხელისმომწერთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა... ს. მესხი სტამბისგან კატეგორიულად ითხოვდა გაზეთის გამოშვების გრაფიკის დაცვას.

საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ, 1874 წ. 21. X. ს. მესხმა და სტ. მელიქიშვილმა განცხადებით მიმართეს მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს, რომელშიც ითხოვდნენ ,,დროების“ კვირაში სამჯერ გამოცემას, პროგრამის გაფართოებას და ფორმატის გადიდებას. თავიანთ მოსაზრებებს ასაბუთებდნენ მკითხველთა მოთხოვნებითა და საჩივრებით. პროგრამის შეცვლა მიზნად ისახავდა პოლიტიკური განყოფილების გაფართოებას. გაზეთში უცხოეთის ინფორმაციას ნაკლები ყურადღება ეთმობოდა, ,,დროებას“ შესაბამისი ნაწილი შეუსუსტდა, მკითხველს კი სურს უფრო უხვად მიიღოს ევროპის ინფორმაცია. 1875 წლის იანვრიდან ,,დროება“ გამოსვლას იწყებს კვირაში სამჯერ-ოთხშაბათობით, პარასკეობით და კვირაობით.

ს. მესხი ამით არ დაკმაყოფილებულა, მისი ოცნება ყოველდღიური ქართული გაზეთი იყო და 1877 წელს, ისარგებლა რა თურქეთთან ომის დაწყებით, მთავრობას თხოვნით მიმართა, ომის პერიოდში ,,დროება“ ყოველდღიურად გამოსულიყო, ,,ხელისმოწერის ფასისა და პროგრამის შეუცვლელად“ იმავე წელს ივნისში ეს თხოვნა დააკმაყოფილეს.

ეს ისტორიული ფაქტი ქართული ჟურნალისტიკის, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურის დიდ გამარჯვებას წარმოადგენდა. მამულიშვილთა რამდენიმე თაობის ენერგიულმა შრომამ, თერგდალეულთა ეროვნული თვითმოქმედების იდეამ მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა. ძნელი გასაგები არაა,

პოლიტიკური შეგნების, განათლების, შეკავშირების რა დონეს მოითხოვდა ყოველდღიური გაზეთის გამოცემა.

ამრიგად: 1866-1874 წლებში ,,დროება“ გამოდიოდა კვირაში ერთხელ(პარასკეობით, ზოგჯერ სამშაბათობით), 1875-1876 წლებში-სამჯერ, ხოლო 1877-1885 წლებში-ყოველდღიურად. თუ 1866 წელს მხოლოდ 44 ნომერი გამოვიდა, 1884 წელს მკითხველმა 281 ნომერი მიიღო.

ხელისმოწერა-გავრცელება

რედაქტორები მრავალფეროვან ღონისძიებას იყენებდნენ გაზეთის გასავრცელებლად. ხელისმომწერლებს ეგზავნებოდათ ,,დროების“კალენდარი, ბროშურები, ყველას უფასოდ გაეგზავნა ჟურნალ ,,კრებულის“ პირველი ნომერი. გაზეთის ნომრები წიგნის მაღაზიებშიც იყიდებოდა, ნაწილი მუქთად ურიგდებოდა ხალხს.

განცხადებები ხელმოწერის პირობებსა და გავრცელებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე სისტემურად ქვეყნდებოდა თვით ,,დროებაშიც“ და ყველა სხვა ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში. რედაქცია მჭიდროდ იყო დაკავშირებული მკითხველებთან, ითვალისწინებდა მათ მოთხოვნებს. ,,დროებას“ (ისევე როგორც მის დამატება ჟურნალ ,,კრებულს“) კორესპონდენტ-გამავრცელებლები ჰყავდა სხვადასხვა ადგილას: ქუთაისში-გერასიმე კალანდარიშვილი, ბათუმში-მოსე ნათაძე, სიმონ ჩომახიძე, დ. ღოღობერიძე, სიღნაღში-რაჟდენ ციციშვილი, მიხ. ნასიძე, თელავში-ვანო როსტომაშვილი, ლევან ჯადნიერი, ახალციხეში-ანა მუსხელიშვილი, ფოთში-ზურაბ არუწოვი, მარტვილში-დავით ბარნაბიშვილი, ოზურგეთში-მამია გურიელი, გორში-დიმიტრი მეღვინეთუხუცესი, აღალო თუთაევი, დუშეთში-ზურაბ მორთულაძე, პეტერბურგში-ბეთანიელი, ციურიხში-ი. მესხი, ჟენევაში-ბ.ჯაფარიძე და სხვ.

გაზეთი საერთო ხელმოწერას აწარმოებდა ,,კრებულთან“ ერთად. ხელმოწერას იღებდნენ თბილისში, ,,დროების“ რედაქციის კანტორაში, სტამბაში, გოლოვინის პროსპექტზე კ. ზუბალოვის სახლში, ქუთაისში ძმები ჭილაძეების მაღაზიაში და სხვ.

სტამბა

ითვალისწინებდა რა ქართული გამოცემების გამოცდილებას, თაოსანთა ჯგუფი აუცილებლად თვლიდა საკუთარი საგამომცემლობო ბაზის შექმნას. 1864 წ. 25 მაისს ნ. ღოღობერიძე სწერდა კირ. ლორთქიფანიძეს: ,,ამას კი გწერ, ვიცი გიამება: მე, ვახტანგ თულაშვილი სტამბის გახსნას ვაპირებთ წელს შემოდგომას. გვინდა ახალი შრიფტი შევადგინოთ ქართული, ლამაზი, ადვილი საკითხავი ასომტავრულით. უსტამბოდ ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლიან. თუ ღმერთმა ქნა და გავაწყვეთ კარგად, მაშინ იმედია, თქვენის შემწეობით რამეს მოვახერხებთ“.(ალ. კალანდაძე, 1987:99).

გაზეთის გამომცემლის დახასიათებისას აღვნიშნეთ, რომ სტამბის ორგანიზაციაში გადამწყვეტი როლი ითამაშა სტ. მელიქიშვილმა, რომელიც საგანგებოდ მიავლინეს ევროპაში. სტეფანე მამულიშვილური გულმხურვალებით მოეკიდა დავალებას. დიდებული შრიფტი დაამზადებინა, საუკეთესო სტამბა გააწყობინა და ჩამოიტანა.

ივ. მაჩაბლის რედაქტორობაში გაზეთმა რამდენიმე სტამბა გამოიცვალა-არს. კალანდაძისა და ამხანაგობის(1884წ.), ა.ა.ადამეცკისა-(1885წ.) და სტ. მელიქიშვილისა (1885 წ. აპრილის 13-იდან).

თავი III

,,დროების“ პუბლიცისტიკა

,,დროების“ პუბლიცისტიკა, როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხვრივ იყო ქართული პუბლიცისტიკის ახალი, მაღალი საფეხური. ,,დროების“ გარშემო თავმოყრილ პუბლიცისტთა ინტერესები საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული ახალი თემები და პრობლემებია, რომელთა გაშუქება და დღის სინათლეზე გამოტანა მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობითა და პუბლიცისტური კულტურის დამკვიდრებით ხდება. ევროპულ და რუსულ ჟურნალისტიკაში მიღებულმა

გამოცდილებამ, ფართო განათლებამ და ერუდიციამ მათ რეფორმატორის როლი არგუნათ და ქართულ ეროვნულ პუბლიცისტიკას მაღალი მოქალაქეობრივი პათოსი შესძინა. ამ მხვრივ განსაკუთრებით საგრძნობია გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, პეტრე უმიკაშვილის, სერგეი მესხის და სხვათა პუბლიცისტური წერილები, რომელიც ხშირად იბეჭდებოდა გაზეთის ფურცლებზე და საინტერესოდ აისახებოდა იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში.

გ. წერეთელი _ რომელიც გაზეთ ,,დროების" პირველი რედაქტორია 1866–69 წლებში, წამყვანი ადგილს სწორედ პუბლიცისტიკას უთმობს და გაზეთის ფურცლებზეც დომინანტი როლი პუბლიცისტიკას უჭირავს. შეიძლება ითქვას, ,,დროება" ერთ – ერთი წარმატებული გამოცემაა სხვა ქართულენოვან გამოცემებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთი კვირაში ერთხელ გამოდიოდა, მაინც ახერხებდა სასიცოცხლო პრობლემების ახსნას. ,,დროებამ" პირველივე ნომრიდან აუწყა საზოგადოებას, რომ განაგრძნობდა ,,საქართველოს მოამბის" მიმართულებას... ,,დროების" დარსება... იყო დასაწყისი ქართული პოლიტიკური აზროვნებისა. Aამ დღიდან იწყება გარკვევა ქართველი ერის ეროვნული მისწრაფებისა, საზოგადოება ეძებს ცხოვრების გზას, კავშირდება, მუშავდება საზოგადოებრივი აზრი, ყალიბდებიან ჯგუფები, იბადება ბრძოლა აზრთა და მიმართულებათა შორის. აქაა დასაბამი იმ ეროვნულ – პოლიტიკურ და სოციალურ მოთხოვნილებათა, რომელთა განხორციელებისათვის მოწადინებულია დღეს ქართველი ხალხი, აქაა ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა დღევანდელი ჩვენი საზოგადოებრივი შეგნება".(ალ. კალანდაძე, 1987:172).

მიმოიხილავს რა მე-19-საუკუნის 60-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას გ. წერეთელი დასძენს_ ,,ეს იყო დრო, როდესაც განათლებული ახალგაზრდა ქართველები გაჩნდნენ ჩვენში, რომელთაც გამოაფხიზლეს თითქოს გაქვავებული და დამყაყებული ჩვენი ცხოვრება. გ. წერეთელი უმთავრესად სამეურნეო – კულტურული ცხოვრების საკითხებს აშუქებს. თუმცა, ასევე დიდ ადგილს უთმობს თაობათა ურთიერთობის საკითხის გარკვევას. ეს იყო მეტად მტკივნეული პრობლემა, როდესაც ქვეყნის სამომავლო განვითარების გზაზე თავი იჩინა აზრთა სხვადასხვაობამ. ერთ მხარეს იყო ახალი თაობა, ხოლო მეორე მხარეს ძველი თაობელები. გ. წერეთლის მახვილმა პუბლიცისტურმა კალამმა

დროული და სწორი რეაგირება გააკეთა. სწორედ მან უწოდა I და II დასი 60-იანი წლების სხვადასხვა ლიტერატურულ ჯგუფებს...

გ. წერეთლის პრაქტიციზმის სულისკვეთებით დაწერილი წერილები მნიშვნელოვან სულიერ საზრდოს წარმოადგენდა მკითხველი საზოგადოებისთვის, რომელსაც პრაქტიკული უმოქმედობა და უინიციატივობა ერის გადაგვარებისა და დაღუპვის მომასწავებლად მიაჩნია. ,,მოდუნებულ მთვლემარე, უმეცარ ხალხს შთანთქავს და გააჩანაგებს კაპიტალისტური ევროპა, რადგან იმათ აქვთ ფული, ჩვენ არა, იმათ აქვთ სწავლა, ჩვენ _ არა. იმათ იციან ყოველნაირი ხელობა, ჩვენ კი არ ვიცით რა. იმათ აქვთ ქარხნები, ჩვენ კი არაფერი. მთელ ჩვენს სიმდიდრეს ისინი ჩაიგდებენ ხელში და ჩვენსავე მამულში მოჯამაგირეებად გაგვიხდიან".(ალ. კალანდაძე, 1987:221). ასევე საინტერესოა პუბლიცისტური ოსტატობის საკითხებზე აქცენტირება. მისი აზრით, კონკრეტულობა და ანალიზია უმთავრესი და არა ძალად გაუბრალოება, მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა.

გ . წერეთლისთვის ასევე მნიშვნელოვანია საგლეხო რეფორმის შემდგომი პერიოდი. ,,რეფორმა იმპერატორის წყალობა კი არ იყო, არამედ ცხოვრების განვითარების კანონზომიერი შედეგი". პუბლიცისტის აზრით მომავალი სავაჭრო _ სამრეწველო განვითარებას ექნება. ,,...რომ თავადაზნაურობა, რომელიც ფულს ბანქოში ფლანგავს, დასაღუპავადაა განწირული, რომ ვაჭრობას კარს ვერავინ მიუკეტავს, თავისთავადი პროცესია..." კაპიტალიზაციის საწყის ეტაპზე გ. წერეთელი ძალზე უკმაყოფილოა ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი სოციალ-ეკონომიური მდგომარეობით. საქართველო აბსოლუტურად მოუმზადებელი და ღარიბ-ღატაკი ხვდებოდა ვითარებას, როდესაც ყველაზე მთავარი ქვეყნისა და ხალხისათვის ფული იყო. ფული და შეძლებული საზოგადოება საქართველოშო სანთლით იყო საძებარი. ამიტომაც შიშობდა, რომ უცხოური კაპიტალი ადგილობრივ პროდუქციასა და საქონელს გაანადგურებდა და ჩანასახსივე მოსპობდა: ,,...ფოთის რკინიგზამ, რომლის გაყვანის ნებართვა ჩვენთვის არავის უთხოვია, სარგებლობის ნაცვლად, ზარალი მოგვაყენა, ჩალვადრები უსაქმოდ დაყარა, საზღვარგარეთის იაფმა საქონელმა ჩვენსას მაზანდა დაუცა და გაყიდვის მაგიერათ, ღორებს შევაჭამეთ. გამოჩნდა, რომ რკინიგზა გაკეთებულია ფულიან კაცებისა და ყოველნაირ ხელობაში გაწვრთნილი კაცებისათვის".(ალ. კალანდაძე, 1987:226).

ერთი წლის შემდეგ გ. წერეთელი აღტაცებით წერს: „... რკინიგზამ ყველაფერი შეატრიალა, რომ გურულებს კურტანი უყიდიათ, რომ მეგრელები და იმერლები სავაჭროდ შორს წასულან და რომ, ყველაფერი ეს ხდება საქართველოს საკეთილდღეოდ.” წერეთლის აზრით, სამრეწველო – ტექნიკურ ჩამორჩენილობას შეუძლია ჩვენი ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანოს, ევროპის მოჯამაგირედ გადააქციოს... ადამიანთა სამეურნეო ინერესები მიწის ზედაპირიდან მის წიაღში ინაცვლებს, ქვანახშირისა და ნავთის მაძიებლები ერთბაშად შეესიენ მთასა და ბარს. ხრიოკ თუ ჭაობიან ადგილებს ფასი დაედო. გაჩნდა ახალი სათაურები: „ნახშირის სენი”, „მადნეულის სენი”, „გიჟები მადნის ძიებით”...

ტყიბულის ქვანახშირთან დაკავშირებით გ. წერეთელი წერს: „რომ ეს ურგები ადგილები, რომელსაც ორიოდე წლის წინ ზედაც არავინ უყურებდა, ახლა ასიათასობით მანეთად იყიდება. ავტორის ირონია ნათელია _ თანამემამულეები, რომლებიც იოლად გამდიდრებაზე ოცნებობენ, ნაცვლად ნაყოფიერი შრომის დაწყებისა, უცხოელებს კიტრის ფასად აძლევენ მადნეულით სავსე ადგილებს”.

გ. წერეთელი ასევე წინააღმდეგია ისეთი შეხედულებებისა, თითქოს სოციალური სიდუხჭირის საფუძველი ბუნების მოვლენებსა და სხვა შემთხვევით ფაქტორებზეა დამოკიდებული.

საბანკო საკითხებს ეძღვნება გ. წერეთლის სტატის „საამხანაგო ბანკები”, იმათი მნიშვნელობა და დაწყობილება”, რომელშიც დაბალი ფენების მხარდაჭერასა და წახალისებას მოითხოვს.

მანვე წამოაყენა იდეა, რომ სათავადაზნაურო ბანკი დიდ სარგებლობას ვერ მოუტანს უუფლებო, გაჭირვებულ ადამიანებს. ამიტომ საჭიროა ურთიერთნდობისა და ურთიერთდახმარების პრინციპზე დამყარებული „საერთო და სასოფლო ბანკების” დაარსება. „ხელმოკლე შეძლების ხალხი, ქალაქის ამქრობა იქნება თუ სოფლის მუშა, გაჭირვებაში ხელის გასამართავად შეამხანაგდებიან, ერთმანეთს პირს აძლევენ საერთო ფულის სესხებაზე”. „დროება” აცნობს 1871 წ. თბილისში „ქართველ ქალთა ამხანაგობის დაარსების შესახებ (ეკ. მელიქიშვილი, ეკ. გაბაშვილი, ო. გურამიშვილი). იგი მხარს უჭერდა და ახალისებდა ქართველ ქალთა აქტივობას პოლიტიკურ და კულტურულ სფეროში.

ასევე უმნიშვნელოვანესია გ. წერეთლის პოზიცია ეროვნულ საკითხებთან მიმართებაში. იგი დიდ ადგილს უთმობს საქრისტიანო და სამუსლიმანო საქართველოს გაერთიანების აუცილებლობას და სახავს გზებს ამ პრობლემის რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით მოგვარებისათვის. მისი აზრით ყოველ ერში განარჩევენ ორ მხარეს: პროგრესულსა და რეაქციულს _ ,,მოწინავე საზოგადოება ყოველთვის მხარს უჭერს პირველს და ებრძვის მეორეს.“ როდესაც განათლების საკითხებს მიმოიხილავს წერილში ,,საჭიროა კავკასიაში უნივერსიტეტი თუ არა?” (1872 წ.) ასაბუთებს მის აუცილებლობას და დასძენს: ,,ქალაქი სადაც უნივერსიტეტია, გამოირჩევა კულტურით, ზნეობით, განათლებით.“..

ასევე საინტერესოა ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის **სერგეი მესხის** როლი გაზეთ ,,დროებაში“. სწორედ ეს პიროვნება რედაქტორობდა ,,დროებას ყველაზე ხანგრძლივად და ნაყოფიერად. მისი რედაქტორობის წლები 1869-1883 წლებია. ეს არის წლები აღმასვლისა განათლებასა და კულტურაში, პოლიტიკურ აზროვნებასა და ეკონომიკურ წინსვლაში, ეროვნული ცნობიერების ამაღლებისა და ზოგადად ქართულ ცხოვრებაში. ,,ხალხი გრძნობდა ახალ დროს, ახალ ცხოვრებას, მის მოახლოებას, თვალები და გონება რომ არ ჰქონოდა მაშინდელ ქართველს, მარტო ყნოსვითაც კი შეიტყობდა, რომ რაღაც სხვადასხვა მოთხოვნილება გაჩნდაო”. (ს. მესხი,1904:341).

,,რედაქცია ვალდებულია თავისი აზრებით მკითხველებს სხვადასხვა მხარეები უჩვენოს რომელისამე საგნისა. აზრების შეტაკებაში, ბრძოლაში აღმოჩნდება ჭეშმარიტება, მაგრამ მთავარია, რომ ეს შრომა, ეს გამორჩევა, უფრო საინტერესო და ჭეშმარიტი აზრებისა შეეძლოს. რაც უფრო ნაკლები სხვადასხვა აზრები იქნება ერთსა და იმავე საგანზე ჩვენი მკითხველებისათვის ისა სჯობია, უფრო ადვილად შეეთვისება ერთ შეხედულებას, ბევრში ერთ საუკეთესოს ვერ ამოარჩევს...”

ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე **ნ. ნიკოლაძე** 1869 – 1870 წლებში ბრუნდება ევროპიდან და აქტიურად თანამშრომლობს გაზეთ ,,დროებაში“. ამ დროიდან ნამდვილად ემჩნევა მისი კალამი. გაზეთის ფურცლებს, რომელიც გამოიხატა იდეურ თანამოაზრეთა შემოკრებაში, მიზნისაკენ ერთიანი ძალით სვლაშ ი . ,,დროებაში“ თაობათა ურთიერთობის საკითხს ნ. ნიკოლაძე უძღვნის წერილებს: ,,ჩვენი ახალგაზრდობა”, ,,კრებულის” დანიშნულებაზედ”, ,,ახალგაზრდობის

აღზრდა" ,,ჩვენი მწერლობა", ,,ახალი ახალგაზრდობა". ნ. ნიკოლაძის აზრით I და II დასელთა იდეური წყარო და მასაზრდოებელი მსოფლმხედველობისა იყო რა თქმა უნდა ქართული ეროვნული ნიადაგი და მასთან ერთად რუსეთისა და ევროპის მოწინავე, დემოკრატიული იდეები... ნ. ნიკოლაძე ბრწყინვალედ საუბრობს ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად, რუსულად. 1868 წელს გერმანიაში იცავს სადოქტორო დისრეტაციას ,,განიარაღება და მისი შედეგები", ფრანგულ პრესაში აქვეყნებს წერილების სერიას ფრანგული ლიტერატურის შესახებ, ეკამათება ივ გიოს, ლუი ბლანს, ესაუბრება კარლ მარქსს, თანამშრომლობს ჩერნიშევსკისთან... ნ. ნიკოლაძეს მიაჩნია, რომ სოციალური ცხოვრების მოვლენებისადმი დეტალური ანალიზი ხელს უწყობს ხალხის გამოფხიზლებას, პოლიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებას.

ნ.ნიკოლაძის პუბლიცისტური წერილები ,,დროების" ფურცლებზე პრაქტიციზმის სულისკვეთებითაა გამსჭვალული: რა ვაკეთოთ? როგორ გავაკეთოთ? სად არის გამოსავალი? პრაქტიკული საქმიანობისაკენ სწრაფვას გულისხმობს და მიზნად ისახავს როგორ მოახერხოს ქვეყანამ უმოკლეს დროში წარმატებებს მიაღწიოს..... ცხოვრება, ეპოქა, ყოველ თაობას, ან ერთსა და იმავე თაობას, სხვადასხვა მოთხოვნებს უყენებს. ზოგჯერ საჭიროა ეკონომიური ცვლილებები, ზოგჯერ სამხედრო სწავლა... ზოგჯერ, როცა ეკონომიური ცვლილებები წარმატებას აღწევენ, ხალხი მშვიდობიანად შრომობს და ცხოვრობს... საჭიროა მწარმოებელი თაობა, შრომაში გამოცდილი, აღებ–მიცემობის მცოდნე, გზების და გამსაღებელი ადგილების გამომძიებელნი"...(ალ. კალანდაძე,1987:181). ქართული ეროვნულ – სოციალური სინამდვილის მოვლენათა ანალიზისას ნ. ნიკოლაძეს ყურადღებას მსოფლიო სინამდვილეზე ამახვილებდა _ ,,ბოროტების ძირი არის არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიურიც". ნ. ნიკოლაძე ასევე ეხება პუბლიცისტური ოსტატობის საკითხებს: ფორმისა და შინაარსის მიზნისადმი შესატყვისობასა და პირდაპირობას; პუბლიცისტიკის სინონიმად ტერმინს ,,პოლიტიკური მწერლობა" განიხილავდა და გამოკვეთდა პუბლიცისტურ, დამაჯერებელ ტონს, შინაგან სიმშვიდესა და თანამიმდევრულობას, სიბეჯითეს, უსიტყვოდ თქმას და ა.შ....

გლეხობის ეკონომიურ გაჩანაგებაზე, ბატონყმობის ნაშთების არსებობაზე საუბრისას აღნიშნავდა: ,,ამ წოდების ოდენა უზნეობა და ქვეყნის გამცემლობა არც ერთ წოდებას

არ მიუძღვის. ერთ მხარეზე ესენი იყვნენ, მეორეზე მშრომელი ხალხი. ...იმას წამხდარი აქვს ზნე, ხასიათი, უსაქმურია, ზარმაცია, სახელგატეხილია. ხალხი ჯანმრთელია, მომავალიც ამ ჯანით ღონიერ ხალხზე ტრიალებს. ბურთი და მოედანი იმათ დარჩება". (ალ. კალანდაძე, 1987:184)

ნ. ნიკოლაძე ცდილობს აჩვენოს საზოგადოებას ,,რა გზით უფრო სასარგებლოდ შეიძლება სხვადასხვა სიმდიდრის შეძენა, ერთი სიმდიდრის მეორეში გაცვლა, რანაირად უნდა მოქმედებდეს საზოგადოება... ნარკვევი ,,სხვათა შორის" _ არის მსჯელობა მრეწველობის მნიშვნელობასა და სარგებლობაზე, რა უპირატესობანი გააჩნია კაპიტალისტურ მეურნეობას ფეოდალურთან შედარებით.. ნ. ნიკოლაძე სიმდიდრის დაგროვებას არ თვლის საზოგადოების ბედნიერების გარანტიად. ,,ქონვა და მოხმარება ერთი და იგივე არ არის", შეიძლება ქვეყანაში საკმაოდ საზრდო და დიდი სიმდიდრე იყოს და ამ ქვეყნის ხალხი კი შიმშილით კვდებოდეს და გაჭირვებით ცხოვრობდეს, ,,უთავბოლო ან უხეირო განწყობილების გამო".

ნ. ნიკოლაძე ,,დროების" პუბლიკაციებში ლაპარაკობს ქვეყანაში არსებულ მძიმე სოციალურ ფონზე, უმუშევრობაზე, კრიზისებზე და ცდილობს ეს ყველაფერი ახსნას ევროპის სახელმწიფოთა მაგალითზე. სწორედ მან აჩვენა ქართველ მკითხველ საზოგადოებას XVIII ს–ის მეორე ნახევრიდან პარიზის კომუნამდე (1871წ.) ვრცელი პერიოდი და მოგვცა დახასიათება საფრანგეთის პოლიტიკურ – ეკონომიური ცხოვრებისა

ნიკო ნიკოლაძე ასევე ვრცლად ეხება მე-19 საუკუნის 70-იან წლებში ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ ერთ-ერთ ყველაზე უმნიშვნელოვანეს საბანკო საკითხებს. სწორედ ამ პრობლემატიკას განიხილავდა 1870 წ. ნ. ნიკოლაძე სტატიებში: ,,ბანკის თაობაზედ", ,,ბანკის საქმე ჩვენში", სადაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კრედიტს, სესხს, რომელსაც მსესხებელი მეურნეობის გაუმჯობესების მიზნით იღებს. მაგრამ აქვე აფრთხილებს საზოგადოებას, რომ კრედიტის არამიზნობრივი გამოყენება ბანკს აიძულებს გაჰყიდოს გირაო, ეს კი საშუალებას მისცემს ფულიან ხალხს, ანუ უცხო ვაჭრებსა და კაპიტალისტებს ხელში ჩაიგდონ ეროვნული ქონება _ მიწა – წყალი... ამაში ყველაფერში ავტორი სავსებით სამართლიანად ეროვნულ საფრთხეებსაც ხედავს, რასაც თანამედროვე ცხოვრებისეული პრაქტიკაც ადასტურებს. (ქართული მწერლობა, 1997:42-77)

ნ. ნიკოლაძისათვის ასევე მნიშვნელოვანია ეროვნული თვითმყოფადობა, დედა – ენის დაცვა, მამულის სიყვარული, ისტორია: ,,ჯერჯერობით საქართველოს ხეირიანი ისტორიის დაწერა შეუძლებელია, ჩვენ გვაკლია მასალები ხალხზე... ხალხი ხომ ისტორიის პირველი მოქმედი პირია და რანაირად დაიწერება ისტორია თუ მის პირველ მოქმედ პირზე სრულიად არაფერი გაგება გვაქვს? (ალ. კალანდაძე, 1987:181).

საინტერესოა ნ. ნიკოლაძის წერილები აჭარისა და ჭანეთის საკითხებთან დაკავშირებით ,,შავ ზღვას ბათუმისთანა ძვირფასი თვალი არა ჰქონია და არა აქვს და ეს ძვირფასი თვალი, რომელიც ჩვენი იყო, რომლის გარშემო დღესაც ჩვენი ხალხი ცხოვრობს, _ დაკარგული და მივარდნილია”... პუბლიცისტი მოუწოდებს ხალხს მეტი სიფხიზლისაკენ და მიმართავს ხელისუფლებას საჭირო და ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას პრობლემის მოსაგვარებლად.(ალ. კალანდაძე,1987:243).

1873 წლიდან ,,დროების” უცხოეთის განყოფილება **ბეს. ჯაფარიძეს** ჰქონდა ჩაბარებული. იგი ხშირად მოგზაურობდა ევროპაში, სხვადასხვა ქვეყნებსი ბევრი მეგობარი და თანამოაზრე ჰყავდა კიდეც. ხშირად შვეიცარიიდან აგზავნის კორესპონდენციებს ევროპის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ: ამ ქვეყნების კონსტიტუციებზე, ესპანეთისა და იტალიის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, რომის პაპზე, საერთაშორისო მუსიკალურ კონგრესზე და საფრანგეთის რევოლუციაზედ...(ალ. კალანდაძე,1987:201)

იგი მოხიბლულია შვეიცარიის ულამაზესი ქალაქის, როგორადაც უწოდებენ-მსოფლიოს დედაქალაქის მშვენიერებით: ,,ჟენევა გონების აღზრდის, მეცნიერებისა და პატიოსნების სამშობლოა...” იგი პირადად იცნობდა პარიზის კომუნის ბევრ მონაწილესა და ხელმძღვანელს, ზოგ მათგანთან მეგობრული ურთიერთობაც ჰქონდა. ქართულ პრესაში პირველად აქვეყნებს წერილებს პარიზის კომუნაზე, აღწერილი აქვს ფრანგი ტყვეების საუბარი, რომ მათთვის მთავარია არა პირადი ბედნიერება, არამედ საფრანგეთის რესპუბლიკა _ დემოკრატია და სამართლიანობა. (ალ. კალანდაძე, 1987:203). იგი აღნიშნავს, რომ პარიზის კომუნის დღეებში ბარიკადებზე ქართველებიც იბრძოდნენ _ ბაგრატიონი, რომელიც პარიზის აღების დროს მოკლესო... ვრცლად განიხილავს შვეიცარიის კონსტიტუციას: 1872 წ. შვეიცარიაში ახალ კონსტიტუციას ამტკიცებდნენ. იგი ხაზს უსვამს კონსტიტუციური წყობის ღირსებაზე და აღნიშნავს: ,,მოისპობა სიკვდილით დასჯა, სწავლა იქნება

სავალდებულო და უფასო... არც ერთი კანონი და დებულება არ შევა წარმოებაშიდ ხალხის უკითხავად, ე. ი. ყველაფერი ხალხის კენჭისყრით გადაწყდება". (იქვე)

ეროვნულ საკითხებზე მსჯელობისას ჯაფარიძე იზიარებს თერგდალეულთა პოზიციას. მისი აზრით: ,,ერს შეუძლია იამაყოს არა თვალწარმტაცი ბუნებით, არამედ პროგრესული საზოგადოებრივი წყობილებით, სამოქალაქო თავისუფლებით, ურთიერთის დაფასებით, პატივისცემითა და სიყვარულით". იგი იმოწმებს შვეიცარიის პრეზიდენტის სიტყვებს: ,,გვიყვარს სამშობლო _ ყველაზე მეტად გვიყვარს თავისუფალი წყობილება, მისი რესპუბლიკური სიცოცხლე, მარტო სამშობლოს ბედნიერების სურვილი არ არის საკმაო, ამ ბედნიერებისათვის თვითონ უნდა ვიმუშაოთ".ალ. კალანდაძე, 1987:207).

ენის საკითხებზე საუბრისას წერდა: ვინც გაიძახოდა ,,ქართული ენა ფუჭდება, ძველებური სიტყვის სიუხვე და აზრის სივრცე ეკარგებაო". არა! ენა კი არა, თქვენ ეცემით! ჩვენს ენას ახლა უფრო ერთგული პატიოსნები გამოუჩნდნენ". (იქვე). ბეს. ჯაფარიძე ერთ _ ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც უშუალოდ აცნობდა ევროპელ სინამდვილეს ქართველ მკითხველებს და ძირითადად მისი სტატიებიც უცხოური სინამდვილით იყო დაკავებული

საინტერესო და შინაარსიანი წერილებით გამოირჩევა ,,დროების" ნიჭიერი პუბლიცისტი **პეტრე უმიკაშვილი.** იგი გაზეთის ფურცლებზე წერს და აქვეყნებს სოციალური ურთიერთობის საკითხებზე, რეფორმის შემდგომ ვითარებაზე. მართალია უმიკაშვილი არ იჩენს ინტერესს ევროპული ეკონომიური თეორიებით, მაგრამ ეკონომიკას ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით უმთავრეს როლს აკისრებს. მას მიაჩნია, რომ ბოროტების მიზეზი სოციალური Uუთანასწორობაა: ,,ვინა შრომობს გლეხკაცზე მეტსა, ვის აწევს იმოდენა მძიმე ტვირთი, როგორც გლეხკაცსა?... მაგრამ ნაყოფი კი არა გამოდის რა. თუ ვისმე სიმდიდრე უშოვია, სხვისი შრომით უშოვია". ,,თუ მყუდრო ოჯახური ცხოვრება გინდა, მაშინ ბრძოლას თავი უნდა დაანებო და ბევრი დამცირებაც მოითმინო". ე. ი. მზად უნდა იყოს პიროვნება ბრძოლისა და ცვლილებისათვის. ,,უსამართლობას რაც უნდა ფესვები გაედგას, კაცში სიმართლის გრძნობა და სვინდისი თავის დღეში არ გამოელევა, რაც უნდა... აუკრძალონ და დაუშალონ... უაზრობას ადამიანი ვერ შეძლებს". (ალ. კალანდაძე,1987:189).

საინტერესო და აქტუალურ თემებზე ამახვილებს ყურადღებას ნიჭიერი კორესპონდენტი, სერგეი მესხის ძმა- ივანე მესხი ...უმიწობა, უგზოობა, შიმშილი, გაუნათლებლობა, ცრუმორწმუნეობა, სოციალური დევნა, ფარღალალა ფიცრულში შეყუდრებული სკოლა, სადაც ,,ფეხ და თავშიშველი ყმაწვილები'' იყინებიან; სასამართლოს კარებთან ატუზული გლეხი და ,,მჭერმეტყველებაში გასავარჯიშებლად მოსული ადვოკატები'', რომლებმაც იციან: ,,ოღონდ სათვალეები გაიკეთე, სერთუკი ჩაიცვი და გაჭირვებული მთხოვნელები ბუზივით დაგესევიან''. გლეხის ამონაკვესი: ,,ოღონდაც ცივი წყალი და მჭადი მქონდეს და სხვას არას ვინატრებდიო''. ,,კეთილშობილები იმას აკეთებენ, რასაც სხვა სოფელში: ან მწყერობენ, ან კურდღელობენ, ან ნარდს არახუნებენ... რისთვის იმუშავებენ, როცა იციან, თუ გლეხები ცოცხალი იქნებიან, შიმშილით არ დაიხოცებიან. გლეხების ჩამორთმევა იმათ არაფრით ატყვიათ, ისევ ის გლეხები უმუშავებენ მიწას, ისინი კი მეტს არაფერს აკეთებენ, რომ შემოსავალს კრეფენ მამულებიდან''. 1873 წ. შვეიცარიში _ ციურიხში ქართველმა სტუდენტმა ახალგაზრდობამ დაარსა საზოგადოება ,,უღელი''. რომელსაც სათავეში ივანე მესხი ჩაუდგა. Mმიზანი: გაერთიანება საზღვარგარეთ სწალის შესაძენად წასული ახალგაზრდებისა _ ერთიანი ქართული საქმის საკეთებლად... (მ. ბეთანიშვილი, დ. მიქელაძე... წევრები... კეკე მელიქიშვილი...(დ. მესხი, მოგონებანი,1940:16).

ამის თაობაზე საინტერესოა ივ. მესხის წერილი: ,,ყმაწვილების აღზრდა შვეიცარიაში'', სადაც განხილულია ყმაწვილების აღზრდის საკითხი მწვავე სოციალურ პრობლემებთან კავშირში. იგი წინააღმდეგია ქართულ სინამდვილეში არსებული ,,როზგისა'', ,,ლინეიკისა''. ,,იმისთანა ქვეყანაში და იმისთანა სასწავლებლებში, სადაც მასწავლებლები მათი ბავშვების ამხანაგები, მეგობრები და ტკბილი მოსაუბრენი იქნებიან და არა რაღაც ღმერთებრივ ბატონები და მბრძანებლები... ყოველი ორი სიტყვის შემდეგ ,,სამშობლო'' და იმის სამსახური ისმის, წარმატებაც მეტი იქნება''. მისი აზრით, ბავშვის გონებრივ განვითარებაზე, ზნეობრივ სრულყოფაში გადამწყვეტი როლი სკოლას ენიჭება. ,,თუ ბავშვი სწავლაზე გულს იცრუებს, ამის მიზეზს მარტო სკოლის გარეთ მის ცხოვრებაში კი არ უნდა ვეძებდეთ, არამედ თვით სკოლაში და ამ უკანასკნელის სწავლის მხედველობაში''...

,,რათ ვარგა მარტო თავი გქონდეს ,,განათლებული", თუკი ამასთან, გულიც არ გინათებს და როგორც კაცი, არ ვარგიხარ".

ცნობილი პუბლიცისტი და ,,დროების" კორესპონდენტი **ნიკ. Yყიფიანი** _ გმობს ეროვნულ ინდეფერენტიზმს, არისტოკრატიის ფუჭ, უშინაარსო დროსტარებას: ,,მოაგროვეთ ეს ფული და ნიჭიერი ახალგაზრდები უმაღლეს სასწავლებელში გაგზავნეთ. რამდენი გამოგვიზრდია საზოგადო ხარჯით უნივერსიტეტში ან გიმნაზიებში? რამდენი შკოლა გამართულა ჩვენის მეცადინეობით, საზოგადოების ხარჯით?.." (ალ. კალანდაძე, 1987:199). ერის მომავლისათვის საზიანოდ თვლის, რომ არ არიან აგრონომები, ტექნიკოსები, ინჟინრები, ექიმები, მასწავლებლები _ იგი ხაზგასმით მიუთითებს პროფესიული განათლების აუცილებლობაზე ქვეყანაში. ნიკ. Yყიფიანს ეკუთვნის სტატია პირველი ფერეიდნელი ქართველის შესახებ ,,ქართველების კოლონია სპარსეთში". ფერეიდნელთა და აჭარელთა მაგალითი მას ქართველთა ეროვნული სიმტკიცისა და გამძლეობის დადასტურებად მიაჩნია.

თავი IV

,,დროება" პირველი ევროპული ტიპის გაზეთი

ის, რაც გაზეთმა ,,დროებამ" შექმნა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში (,,დროება", რომელიც 1866 – 85 წლებში გამოდიოდა) იყო უდავოდ დიდი მონაპოვარი ეროვნული ცნობიერების გამოღვიძებისა, წინმსვლელობისა და პროგრესისა. ბატონყმობის გაუქმების შედეგად გამოწვეულმა პოლიტიკურმა და ეკონომიურმა ცვლილებებმა ფაქტიურად განაპირობა აზროვნების განვითარების აუცილებლობა, რამაც თავის მხრივ სათავე დაუდო ახალ – ახალ შეხედულებათა წარმოშობას, იდეების ურთიერდაპირისპირებას, რაც ისევ და ისევ ცხოვრების

წინმსვლელობითა და პროგრესით იყო ნაკარნახევი. გაზეთი ,,დროება" _ ერთადერთი პერიოდული გამოცემაა, რომლის ბირთვსაც მხოლოდ და მხოლოდ ახალთაობელები ანუ თერგდალეულები წარმოადგენდნენ, თავის ფურცლებს თანაბრად უთმობს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხებისა და თემების გაშუქებას, როგორიც იყო: საზოგადოებაში (ცხოვრებაში, სინამდვილეში) არსებული წინააღმდეგობანი, დამოკიდებულება გლეხებსა და თავადაზნაურობას შორის, საგლეხო რეფორმა, საკრედიტო ურთიერთობანი, ეროვნული საკითხი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცხოვრება, მეცნიერების მონაპოვრები. ,,დროების" 10 წლის იუბილეზე ს. მესხი წერდა: ,,... აზრების შეტაკებაში, ბრძოლაში აღმოჩნდება ჭეშმარიტება, მაგრამ საქმე ის არის, რომ საზოგადოებამ შეძლოს საინტერესო და ჭეშმარიტი აზრების გამორჩევა... მკითხველისათვის ისა სჯობია, რაც უფრო ნაკლები სხვადასხვა აზრები იქნება ერთსა და იმავე საგანზედ დაბეჭდილი, რომ ბევრში ერთი საუკეთესოს ამორჩევა ძნელია ხოლმე. ჩვენ ერთ გზას ვადგევართ, ერთსა და იმავე აზრს ხშირად ვიმეორებთ და ამით იმედი მაქვს, პროპაგანდის საქმე უკეთ მიდის..."

ასეთი შეხედულების დემონსტრირებით ,,დროება" მართლაც ზრდის მკითხველში საზოგადოებრივ _ პოლიტიკური აზროვნების თვალსაწიერს. Eს მიმართულება თუ პოზიცია ,,დროებისა" _ ახალი ტკივილებისა და ახალი პრობლემების გაშუქებისა _ გამართლებული აღმოჩნდა, რადგანაც ხალხი მოუმზადებელი შეხვდა შეცვლილ ცხოვრებისეულ ვითარებას, ხოლო პრობლემები ახსნას მოითხოვდა. ნ. ნიკოლაძის, ს. მესხის, გ. წერეთლის, ბ. ღოღობერიძის, დ. ჩხოტუას პუბლიცისტურ წერილებში ძალზე ფართოდ იყო წარმოდგენილი საქართველოს შიგნით არსებული პრობლემები, მაგრამ ის არ იყო მსოფლიო პროცესებს მოწყვეტილი მსჯელობანი, პირიქით, ყოველი წერილი, ქრონიკა, პოლიტიკური მიმოხილვა, თეორიული წერილები იყო ახსნა არსებული ვითარებისა და მდგომარეობისა. ,,ახალი ახალგაზრდობის" მსოფლმხედველობა ძირითადად ქართული სინამდვილით იკვებებოდა, მაგრამ მასში თანაბრად იყო შეჯერებული როგორც პროგრესისტ _ დემოკრატთა შეხედულებანი, ისე ევროპელ სოციოლოგთა და მოაზროვნეთა ნააზრევი. არა თუ ძალაში შესული თერგდალეულები, არამედ იმ დროს მოსწავლე სხვა გამოჩენილი მოღვაწეებიც ი. მანსვეტაშვილი, ი. მეუნარგია, ალ. ყიფშიძე, ს. მგალობლიშვილი ერთხმად ადასტურებენ რუს და ევროპელ პროგრესისტ _ მოაზროვნეთა ერთგვარ გავლენასა და მათდამი დიდ ინტერესს.

თავისთავად ეს ფაქტი კი გულისხმობს როგორც რუსული, ისე ევროპის სახელმწიფოთა (საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი, შვეიცარია, იტალია) ცხოვრების დონის, ანუ არსებული სინამდვილის თანამიმდევრულ ანალიზსა და მის მიტანას ქართველ რიგით მკითხველამდე. ეს ფაქტი ბევრისთვის ნამდვილად იყო მიუღებელი, რაც პირველ რიგში მწვავედ წარმოჩნდა ხალხოსნური ლიტერატურის წარმომადგენელთა კრიტიკულ ნააზრევში, რომელთა აზრით 1866 წლიდან თერგდალეულებს აღარ ახასითებდათ ძველებური ჟინი და დაუდგრომლობა, რომელსაც 1861–64 წლებში ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ახასიათებდათ. ისინი, როგორც ტიპიური განმანათლებლები, ბრძოლას აგრძელებენ ეროვნული განმათავისუფლებელი და კულტურული აღორძინების ფრონტზე. ეს აშკარავდება მართლაც 80 – იანი წლების დამდეგისათვის, როცა ,,ივერია" - ,,დროების" რედაქციები საბოლოოდ შეერთდნენ...

1876 წლის ,,დროების" ათი წლისთავზე ს. მესხი ამბობდა: ,,ძალიან კარგად მესმის, რომ კერძოდ მე კი არ მიცხადებთ ამ თანაგრძნობასა, არამედ უცხადებთ იმ დროშასა, რომლის ქვეშ დღეს ყველანი შეკრებილნი ვართ აქ. ეს დროშა მარტო ერთს გაზეთს, ან რომელსამე მიმართულებას ანუ თაობას _ კი არ წარმოადგენს! ამ დროშაზე არ აწერია არც ბატონი, არც გლეხი, არც ახალი, არც ძველი თაობა, _ ეს არის დროშა ქართულის ლიტერატურისა, ქართული აზროვნებისა, ქართული ეროვნული საქმისა; შესაძლებელია,_ და არა თუ შესაძლებელი, უეჭველიცაა, რომ ზოგს თქვენგანს არ აკმაყოფილებს ,,დროება" და იმის მიმართულება! ზოგი თქვენგანი ახალს მოდგმას, ახალ თაობას ეკუთვნის და ზოგი ძველსა. მაგრამ, როდესაც ჩვენს საზოგადო ქართულს ლიტერატურაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, მაშინ ამგვარი გარჩევა აღარ უნდა იყოს, მაშინ ჩვენ ერთი მიწის შვილნი, ენისა და ლიტერატურის მოყვარენი ვართ." თერგდალეულები ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ეროვნულ _ კულტურულ საქმიანობაში ჩაებნენ. ისინი გატაცებულნი იყვნენ ევროპის ქვეყნების მდგომარეობით, რომელიც, წარმოებისა და მრეწველობის განვითარების გამო, ჩქარი ტემპით მიდიოდა წინ. ამიტომაც თერგდალეულები ცდილობენ ევროპის ცხოვრებისათვის თვალყური ედევნებინათ. ისინი მკითხველისათვის ცდილობდნენ გაეცნოთ, მიეთითებინათ და აეხსნათ მისი ცხოვრების გაუმჯობესების საშუალებებზე. ამით ერთი, რომ ისინი პროპაგანდას უწევდნენ იმათ ცხოვრებას, ამავე დროს საქართველოს ,,გაევროპელებას" უწყობდნენ ხელს... 70–იანი წლებისათვის, როცა წინააღმდეგობა მემამულეთა და გლეხთა შორის მწვავდება, თერგდალეულთა

საზოგადოებრივი ცხოვრების თანდათანობით წინმსვლელობის სურვილები აღარ აკმაყოფილებს ჩვენი ინტელიგენციის ერთ ფრთას, შეიძლება მცირეს, მაგრამ რადიკალურად განწყობილ ფრთას, სწორედ ეს ჯგუფი 1869 წელს აარსებს ჟურნალ „მნათობს". საპროგრამო წერილში ნ. ინანიშვილი აცხადებს: „ჩვენი დრო, არის კრიტიკული დრო. ჩვენ ვცხოვრობთ ძველსა და ახალს შუა. ძველი სამუდამოდ წავიდა ჩვენგან, მაგრამ ახალი გზა კი ჯერ არ გაგვიკვლევია. ჩვენ უნდა ვეცადოთ გავუნათლოთ ხალხს მსვლელობის გზა გონებითი, ზნეობითი და ნივთიერებითი წარმატებისათვის... ამისათვის არის კიდეც საჭირო ჟურნალი, რომ იმან შეიყვანოს ხალხი თავის ცნობაში, ახსნას და შეიმუშავოს ის კითხვანი, რომელნიც ყველაზე მომეტებულად შეეხებიან ხალხის ცხოვრებას, მის კეთილდღეობას და სხვა".(ი.სანიკიძე,2009:126). ჟურნალ „მნათობის" დაწყებული საქმე _ ხალხთან ახლოს მისვლა, მისი ჭირისა და ლხინის თანაზიარობა, გაგრძელდა 80–იანი წლებისათვის. „მნათობი" კი უძლური აღმოჩნდა ასეთი კითხვების ახსნისათვის. იგი მალე დაიხურა, მაგრამ 70 – 80 –იანი წლების ერთ – ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, მოწინავე ახალთაობისა გიორგი მაიაშვილი ასე მიმართავს „დროება _ ივერიის" მესვეურთ: „თქვენი მოქმედება, ბატონებო, ძლიერ პატივსაცემია, თქვენი ღვაწლი ყველასათვის ცხადია, ჩვენც თანავუგრძნობთ მას. მაგრამ ამასთანავე ჩვენის მხრივ უზრდელობა იქნებოდა თქვენის წმიდათა განზრახვათა წინაშე დაგვემალა თქვენთვის, რომ ის კითხვები და საგნები, რომელთაც თქვენ ეხლა სულითა და გულით მისცემიხართ, ჩვენ უსაჭიროეს და არსებით საგნებად არ მიგვაჩნია: ღაღადება სკოლებში ქართული ენის შემოღებაზედ, სახალხო სკოლების დაფუძნებაზედ, ქართულის თეატრის მიმართვაზედ, სასარგებლო წიგნების გამოცემაზედ, ჩვენის ენის განვითარებასა და გამშვენიერებაზედ და სხვადასხვა. ყოველივე ესენი ძლიერ საჭირონი და თანაგრძნობის ღირსნი საგნები არიან. მაგრამ ამ საგანზედ გაჩერება, მათ გარშემო ტრიალი და ამასთანავე კმაყოფილებით ძახილი, რომ მხოლოდ ამაებზედ არის დამყარებული ჩვენი ქვეყნის ბედნიერებაო, იმასა ნიშნავს, რომ თქვენ მოქმედების პროგრამა ჯერ კიდევ არა გქონიათ შემუშავებული და მტკიცე ნიადაგზე დამყარებული. ეს მიუტევებელი ცოდვა გახლავთ თქვენთვის. არცერთ წრეს ხალხის ბელადთა, რომელსაც კი სურს შეიქმნეს ჭეშმარიტი გამომეტყველი და წარმომადგენელი თავის ქვეყნის ინტერესებისა, არ ექნება მომავალი, თუ რომ იგი განზრახ ან გაუგებრობით უქცევს გზას ეკონომიური საგნების

ახსნას და გადაწყვეტას, რომლების გამოსარკვევადაც იბრძვის ეხლა ყველა თანამედროვე პარტიები, მთელი კაცობრიობა". (ი.სანიკიძე, 2009:127).

სწორედ ეს მიმართულებაა საფუძველი 80–იანი წლების დასაწყისში ჟურნალ ,,იმედის" დაარსებისა. სტ. ჭრელაშვილი ,,მათი მწერლობის დიდი ნაკლოვანება იმაში მდგომარეობს, რომ თავიანთ ნიჭიერებასთან და სწავლასთან ერთად სრულებით ავიწყდებოდათ დროება, გარემოება და ადგილი... მთელი ხალხი სწყდებოდა შიმშილითა და უმოსავლობითა, ამ დროს ჩვენი მწერლები გაცხარებული ბაასობდნენ ევროპელებსა და მათ პრობლემებზე; ხალხს ავიწროებდა და სტანჯავდა ათასნაირი გაცხარებული უსამართლობა მოსამართლეებისაგან, _ მწერლები გაცხარებულნი მოგვითხრობდნენ ლუი ბლანზე, როშფორებზე და გამბეტაებზე; ხალხი იწვებოდა და იდაგებოდა უთვალავი ხარჯისა და ბეგარისაგან, _ მწერლები კი დარვინის თეორიების მეტს ვერას პოულობდნენ სალაპარაკოდ; ხალხს უჭირდა დაწყებითი სწავლის მიღება, ჩვენ მწერლებს კი სრულებით დავიწყებოდათ ესა და ელაპარაკებდნენ ქართველს მკითხველებს მეცნიერებისა და ცხოვრების უკანასკნელ სიტყვებზე" (ი.სანიკიძე,2009:128). სწორედ ამნაირი მსჯელობით, კამათით, წინააღმდეგობების დაძლევით იზრდებოდა და ფორმირდებოდა ქართველი მკითხველის პოლიტიკური პოტენციალი და იგი ღრმად იჭრებოდა მსოფლიო გლობალურ პროცესებში, რაც უდავოდ დიდი მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენდა. Nნ. ნიკოლაძე თავის სტატიებში ხშირად უბრუნდებოდა იმ საკითხებზე მსჯელობასა და კამათს, რომელშიც ავითარებდა აზრს, რომ ,,კანონები და საქციელი ღმერთისაგან დაფუძნებული და სამუდამოდ დაწესებული არაა, მათი შეცვლა შესაძლებელი და სასარგებლო საქმეა..." პ.უმიკაშვილი მიუთითებდა, რომ ,,ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება" ცხოვრების მოწესრიგების უმთავრესი მიზანია, რომ ყველა ბოროტების მიზეზი სოციალური უთანასწორობაა. პ.უმიკაშვილის სტატიები ,,დროებაში" არსებითად იყო სოციალურ – ეროვნული თავისუფლებისაკენ მოწოდება. იგი ასკვნის: ,,უსამართლობას რაც უნდა ფესვები გაედგას, კაცში სიმართლის გრძნობა და სვინდისი თავის დღეში არ გამოილევა, რაც უნდა... აუკრძალონ და დაუშალონ... უაზრობას ადამიანი ვერ შეძლებს". ,,ადამიანებმა მკვიდრად ჩაინერგეს გულში აზრი პოლიტიკური თავისუფლებისა". ასეთივეა ივანე მესხის წერილების პათოსი და პოზიცია, რომელიც 1870–71 წლებში აქტიურად მონაწილეობს ,,დროებაში". სწორედ ივანე მესხი იყო 1873 წ. ქართველი სტუდენტების მიერ ჩამოყალიბებული საზოგადოება ,,უღელის" (ჟენევა,

შვეიცარია) აღმასრულებელი მდივანი, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა საზღვარგარეთ მყოფი ქართველი ახალგაზრდობის გაერთიანება ერთ ძლიერ ძალად და საერთო ქართული საქმის კეთება. ი. მესხი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს განათლებას, რომლის აზრითაც იგი სავალდებულო და უფასო უნდა იყოს, რომ სკოლა და მშობელი შეერთებული ძალით უნდა იღვწოდნენ ბავშვის აღზრდისათვის. ასევე საინტერესო იყო ნ. ყიფიანის პუბლიცისტური წერილების პათოსიც. იგი ეხებოდა პოლიტიკას, ეკონომიკას, განათლებას, კულტურას. შწორედ მას ეკუთვნის პირველი სტატია ფერეიდნელი ქართველების შესახებ ,,ქართველების კოლონია სპარსეთში'', სადაც პატრიოტულ პროპაგანდას ეწევა.

ბესარიონ ჯაფარიძე _ საზ. ,,უღელის'' ჟენევის განყოფილების მეთაური, სადაც ლექციებს კითხულობდა საერთაშორისო საკითხებზე: ესპანეთი, საფრანგეთი, იტალია... 1873 წლიდან ,,დროების'' უცხოეთის განყოფილება ფაქტიურად ჯაფარიძეს ჰქონდა ჩაბარებული. იგი პირადად იცნობდა პარიზის კომუნის ბევრ მონაწილესა და ხელმძღვანელს. სწორედ მას ეკუთვნის ორიგინალური სტატიები პარიზის კომუნაზე.

ასეთი თანმიმდევრული და მიზანმიმართული საქმიანობით ,,დროებამ'' ნამდვილად აამაღლა ქართველი მკითხველის პოლიტიკური ხედვის დონე და ისე გაათვითცნობიერა, რომ ქართულ სინამდვილესთან ერთად იგი შესანიშნავად ეცნობოდა ევროპის სახელმწიფოთა ცხოვრების სინამდვილესა და იქაურთა გატაცებას...

,,დროება“ აჭარის შესახებ

1870 წლიდან მოყოლებული, გაზეთის ფურცლებზე სულ უფრო მატულობს წერილები, რომლებიც სრულყოფილად ასახავს აჭარის, ამ ძირძველი ქართული მხარის, ისტორიას, მის მკვიდრთა ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს. ამით “დროება” ორ მიზანს ისახავდა: ჯერ ერთი, ცდილობდა, გაეზარდა ქართველი საზოგადოებრიობის დაინტერესება აჭარისადმი და, მეორეც, ეროვნული თვითშეგნება გაეღვიძებინა მაჰმადიან მოძმეებში, მით უმეტეს, რომ რუსეთი ოსმალეთის წინააღმდეგ ახალი ომისათვის ემზადებოდა, რასაც შეიძლებოდა სამუსლიმანო საქართველოს გათავისუფლება მოჰყოლოდა.

1877 წლის აპრილში, რუსეთ-თურქეთის ომის პირველსავე დღეებში, ათასობით ქართველი მოხალისე ჩაეწერა მოქმედ არმიაში, შეიქმნა ქართული რაზმები, რომლებიც მოწინავე პოზიციებზე იბრძოდნენ და საკუთარი სისხლის ფასად ართმევდნენ მომხვდურებს საუკუნეების განმავლობაში მიტაცებულ ქართულ მიწებს. გაზეთში მკაფიოდაა გადმოცემული აჭარის მოსახლეობის სულისკვეთება ამ ომში ჩაბმისას, რადგანაც ეს იყო ერთადერთი გზა დედასამშობლოსთან დაბრუნებისა. ნიშანდობლივია, რომ ომის დაწყებისთანავე ასობით ადგილობრივი მცხოვრები გამათავისუფლებელთა მხარეზე დადგა. მთელი ომის პერიოდში ,,დროებამ" დიდი მუშაობა გასწია აჭარელთა გასამხნევებლად, ოსმალთა მიერ გავრცელებული პროვოკაციული ხმების საწინააღმდეგოდ ამცნობდა მოსახლეობას, რომ დადგა დრო შევიწროვებული და შეურაცხყოფილი ხალხის დაცვის და ოკუპანტების დათრგუნვა-განადგურების. საინტერესოა გაზეთის რედაქტორ სერგეი მესხის ღვაწლისა და დამსახურების წარმოჩენა. ამ კეთილმა კაცმა მთელი თავისი ქონება და სიცოცხლე საერთო საქმეს ანაცვალა. იგი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო აჭარით, ამიტომაც ომის დაწყებისთანავე ფრონტს მიაშურა და ფეხდაფეხ მიჰყვებოდა მოქმედ არმიას. აქედან რედაქციას უგზავნიდა ომის ვითარების ამსახველ კორესპონდენციებს. სერგეი მესხი გამარჯვებულ რუს-ქართველთა არმიასთან ერთად შემოვიდა ბათუმში (შემდგომშიც არაერთგზის იმოგზაურა აჭარაში) და აღწერა ის მძიმე მდგომარეობა, რაც აქ დახვდა. იგი ურჩევდა მთავრობას რიგიანი, ადგილობრივი წეს-ჩვეულებებისა და ხალხის ხასიათის მცოდნე მოხელეები დაენიშნა აჭარაში, არ შეელახათ ადგილობრივი მოსახლეობის თავმოყვარეობა, შეემსუბუქებინათ მათი მდგომარეობა. განსაკუთრებული სიმძაფრით გაილაშქრა მუჰაჯირობის წინააღმდეგ და მოუწოდა მთავრობას, ქმედითი ღონისძიებები განეხორციელებინა ამ მოძრაობის შესაჩერებლად.

როგორც ცნობილია, 1878 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ, საქართველომ დაიბრუნა აჭარა. ეს იყო უდიდესი მოვლენა ქართველი ერის ისტორიაში. ქართველი ხალხი პოველთვის მწვავედ განიცდიდა თურქეთის მონობაში მყოფ თანამემამულეთა მდგომარეობას, ოცნებობდა იმათ განთავისუფლებაზე. ქართველი ერის ამ სანუკვარი ოცნების გამომხატველია ილია ჭავჭავაძის წერელი „ოსმალის საქართველო", რომელიც 1877 წლის დამდეგს „ივერიაში" გამოქვეყნდა. ილია თავის წერილში მიმოიხილავს იმ ისტორიულ მოვლენებს, რომელთა შედეგად საქართველოს ერთი

ნაწილი და ათეული ათასობით ქართველი თურქ დამპყრობელთა უღელ ქვეშ მოექცა: „მძლავრობამ, მუხთლობამ, ღალატმა, შავით მოსილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ ძმები - ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინენი“(ჭავჭავაძე, 1955:13). წერილის დასასრულ ნაწილში გამოთქმულია ავტორის გულითადი ნატვრა დაკარგული ძმების კვლავ დაბრუნებაზე. ილია მიუთითებს იმაზე, რომ თურქთა ტყვეობაში მყოფ ქართველებს, მართალია, ძალით დაატოვებინეს ქრისტიანული რელიგია, მაგრამ ყველაფერი გამოსწორებადია, „ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კვლავ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს, და დიდის ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თავის პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლმორეული ქართველი“ (იქვე).

1878 წლის ნოემბერში თბილისში ახალშემოერთებული კუთხის დელეგაცია (16 კაცი) ჩავიდა. 20 ნოემბერს მოეწყო დიდი შეკრება, რომელსაც ასზე მეტი ადამიანი ესწრებოდა. შეკრების ინიციატორი დიმიტრი ყიფიანი იყო. ამ ისტორიული შეკრების დეტალებს გაზეთ „დროების“ ფურცლებიდან ვეცნობით, საიდანაც ნათელი ხდება, რომ შეკრებას ბევრი წარჩინებული , „შთამომავლობითა და ჩინით“ ცნობილი ადამიანი ესწრებოდა, მაგრამ შეკრების სული და გული მაინც ქართველი მწერლები იყვნენ. ნადიმს ესწრებოდნენ: გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, ივანე კერესელიძე, აკაკი წერეთელი, ნიკოლოზ ავალიშვილი და პეტრე უმიკაშვილი. „დროება“ საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ილია ჭავჭავაძე შეკრებას ვერ ესწრებოდა, რადგან ამ დღეებში თბილისში არ იმყოფებოდა.

შეკრების შემდგომ გამართულ ნადიმზე პირველი სადღეგრძელო წარმოსთქვა გრიგოლ ორბელიანმა. რთული არაა წარმოვიდგინოთ, თუ რაოდენ ძლიერი უნდა ყოფილიყო ადამიანური განცა პოემა „სადღეგრძელოს“ ავტორისა იმ წუთებში, როდესაც იგი ახლადშემოერთებული ძირძველი ქართული კუთხისა და მისი შვილების სადღეგრძელოს ამბობდა. გრიგოლ ორბელიანის მიერ ნადიმზე წარმოთქმული სიტყვა „დროებაში“ ასე იკითხება: ,,ბატონებო, რას მოასწავებს დღეს ჩვენი აქ შეყრილობა? რა გვიხარიან? რასა ვდღესასწაულობთ? კრება ესე წარმოადგენს სასიხარულოს მას სანახავსა, როდესაც ერთის დედისა შვილნი, შავის ბედის გამო განშორებულნი, დიდს ხანს ერთანეთისათვის

დაკარგულნი,- ანაზდეულად, მოულოდნელად შეხვდნენ, იცნეს ერთმანეთი და გადაეხვივნენ გულითადის სიყვარულითა.

,,ჩვენცა ეგრეთვე საქართველოს შვილნი ვიყავით დაკარგულონი ერთმანეთისათვის საუკუნეების განმავლობაში, ბევრი ვიტანჯეთ მტერთაგან, ბევრი გაოხრება გამოვიარეთ, მაგრამ მაინც კი არ დაგვიწყებია დაშორებულნი ჩვენი ძმები. თვალი, გული გვეჭირა თქვენსკენ, ბატონებო, და ვნატრობდით, როდეს აღმოვა ჩვენთვის მზე შეერთების!

,,და აი გვისმინა ღმერთმანცა, და ჩვენს შორის ვხედავთ დაშორებულთა ძმებთა და მოხარულნი ვჰმადლობთ ღმერთსა და ვევედრებით, რომ შეერთება ესე ჩვენი იყოს უკუნით უკუნისამდე შეურყევლად!.. და დღეის იქით ლხინშიაც, ჭირშიაც უნდა ვიყვნეთ ჩვენ ერთად, ვითარცა ერთნი დედა საქართველოს შვილნი"(გაზ. „დროება", 1878 წ., #239).

გაზეთ ,,დროების" დამოწმებით გრიგოლ ორბელიანის სიტყვამ დამსწრეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

იმავე ნადიმზე სიტყვა წარმოთქვა აკაკი წერეთელმა, რომელმაც ხაზი გაუსვა აჭარის დედასამშობლოსთან შემოერთების უდიდეს მნიშვნელობასა და იმ ქმედითი ღონისძიებების დროულად გატარების აუცილებლობას, რომელიც ახალშემოერთებულ მოძმეთა ცხოვრების მოწესრიგებისთვის, მათი კულტურული ამაღლებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. აკაკის სიტყვას განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია დამსწრე საზოგადოებაზე. „დროების" მიმომხილველის სიტყვით, ნადიმის მონაწილენი „მიდიოდნენ აკაკი წერეთელთან და ულოცავდნენ ამ მშვენიერი სიტყვის წარმოთქმისთვის და თან მადლობას სწირავდნენ"(გაზთ. „დროება", 1878 წ. #239).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს სერგეი მესხის ყოველი სიტყვა, რომელიც უსაზღვრო სიყვარულითაა გამთბარი "ბედისაგან დაჩაგრული მოძმეებისადმი," ამიტომაც იყო, რომ როცა იგი გარდაიცვალა (1883 წ.), მთელ ქართველ ხალხთან ერთად აჭარის მოსახლეობამაც ცხარედ დაიტირა მათი მოსარჩლე და გულშემატკივარი მამულიშვილი. ,,ყოველი ბათუმელი ქართველები ღრმა მწუხარებაში ჩაგვყარა ამ კაცის გარდაცვალებამ, …წერა-კითხვის საზოგადოება მწუხარებს სერგეი მესხის გარდაცვალებას." სერგეი მესხის მზრუნველობას აჭარისადმი ისიც ადასტურებს, რომ ილია ჭავჭავაძის დავალებით იგი არაერთგზის ჩამოვიდა ბათუმში, რათა შეერჩია ქართული სკოლისათვის კარგი ადგილი, მოეგვარებინა სკოლის გახსნასთან დაკავშირებული საქმეები. აღსანიშნავია ისიც, რომ

“სერგი-ბეგმა,” როგორც მას აჭარლები ეძახოდნენ, თავისი ხელით დაურიგა ქობულეთლებს მათ დასახმარებლად შეგროვილი ორი ათასამდე მანეთი.

“დროებას” წერილებს აწვდიდნენ ახმედ და გულო კაიკაციშვილები _ ქობულეთიდან, მუხამედ ირემაძე _ ღორჯომიდან, სულეიმან მიქელაძე _ საღორეთიდან (ახლანდელი პირველი მაისი), დავით _ წერეთელი მაჭახლიდან, ლევან და ლუკა (კრაზანა, ჭიაჭამია) მჭედლიშვილები- ბათუმიდან, ლუკა ქუთათელაძე ზემო აჭარიდან. მათ კორესპონდენციებში აღწერილია მშობლიურ უბეში ახლად დაბრუნებული მხარის წარსული, მისი აღორძინების პირველი ნაბიჯები, აჭარის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულებები, ადათ-წესები. მათი მეშვეობით ,,დროებამ” მკითხველებს მიაწოდა აჭარული ზეპირსიტყვიერების უნიკალური ნიმუშები – ხალხური ლექსები, ლეგენდები... გაზეთი ,,დროება” ერთგვარ მემატიანედ იქცა, რომელმაც შემოუნახა შთამომავლობას იმ გმირ წინაპართა სახელები და საქმეები, რომელთა ღვაწლმა გადამწყვეტი როლი ითამაშა სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს გამთლიანების საქმეში. მანვე გააცნო საზოგადოებას აჭარის გათავისუფლებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი შერიფ ხიმშიაშვილი, კაცი, რომელსაც ,,ზორბა ტანზე ქართული ჩოხა აცვია”, რომელსაც აქვს ,,ისეთი ტკბილი კითხვა-პასუხი და უბრალო ლაპარაკშიც კი ისეთი, რომ მგონი არ მოგწყინდებათ იმას ყური უგდოთ”. სწორედ ,,დროებამ” შემოგვინახა შერიფ ხიმშიაშვილის სიტყვები, წარმოთქმული ბათუმის გუბერნატორთან გამართულ სადილზე. შერიფმა დიდი შეფასება მისცა იმ ღვაწლსა და ამაგს, აჭარას რომ დასდეს რუსთა მხედრიონმა და ქართველმა ძმებმა. ,,ესეც იმათი სადღეგრძელო იყოს, ვინც ამ ომში მონაწილეობა მიიღო და ძველი და ახალი განაწილებული ქართველები შეგვაერთა. არც ჩვენგან და არც ჩვენი შთამომავლებისაგან დავიწყებული არ იქნება მათი შრომა და მხარდაჭერა”. ძალზე საინტერესოა მისივე სიტყვები თბილისში ბათუმიდან ჩასული დელეგაციის პატივსაცემად გამართულ სადილზე, რასაც სპეციალური წერილი უძღვნა სერგეი მესხმა.

,,დროებამ” შემოგვინახა ხსოვნა ჩაქველი ხუსეინ ბეჟანიძისა, რომელსაც “ძლიერ უყვარდა მამა-პაპის მიწა-წყალი და მისი მოშორება სიკვდილად მიაჩნდა”. “დროებამ” გაგვაცნო მუჰაჯირობის წინააღმდეგ კიდევ ერთი აქტიური მებრძოლი, ოლადაურელი ჰაჯი ლომან ქარცივაძე – ,,ჭკვიანი, ნასწავლი და ხალხში გავლენიანი კაცი”, რომელიც ოსმალეთიდან დაბრუნებული ურჩევდა ხალხს, რომ ,,ბევრი ადგილი დავიარე, მაგრამ

ჩვენი ქვეყნისთანა შემკობილი და საჩვენო ვერსად ვერა ვნახე-რა," ამიტომ ოსმალეთში არ გადასახლდეთო. ნამდვილად დიდი წონა ჰქონდა ასეთი ადამიანების სიტყვას და კარგად იცოდა ეს გაზეთის რედაქტორმა.

როცა ,,დროების" დამსახურებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ მემედ აბაშიძის სიტყვები, გაზეთის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით რომ წარმოსთქვა: ,,თქმა არ უნდა, ჩვენი თანამოძმე ქართველი პირების ერთად-ერთი მიზანი იყო გაზეთ ,,დროების" გამოცემით გავრცელება სამშობლოს შვილებში ეროვნულ-კულტურული შეგნებისა, რომ მით გაემდიდრებინათ ის ეროვნული სალარო, საიდანაც ხალხი როგორც კაცობრივს, ისე სულიერ საზრდოს მიიღებს. ...ვთხოვთ ღმერთს, რომ მიანიჭოს თავისი სასუფეველი ამ ეროვნული შემეცნების საქმეში მოურიდებელ და თავდაუზოგველ მოღვაწეებს – სერგეი მესხს, გიორგი წერეთელს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ივანე მაჩაბელსა და სხვებს, რომლებმაც ჩვენს ეროვნულ მეტყველებას ასპარეზი აუმღლეს და გაუფართოვეს."

ასევე დიდია წვლილი გაზეთ ,,დროებისა" ქ. ბათუმში 1881 წელს პირველი ქართული სკოლის გახსნის საქმეში. (,,საბჭოთა აჭარა," 11. 04. 1986).

თავი V

მიმდინარე ლიტერტურული პროცესები „დროების" ფურცლებზე

როგორც უკვე აღინიშნა, „დროების" მე-5 განყოფილება ეთმობოდა ახლად გამოსული რუსული, უცხოური და ქართული წიგნების ბიბლიოგრაფიას, კრიტიკული სტატიებს რუსული და აქაური ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის შესანიშნავ მოვლენებზე.

გაზეთი „დროება" მუდმივად აშუქებდა თავის ფურცლებზე ლიტერატურულ პროცესებს. ამის ნათელი მაგალითია სერგეი მესხის წერილი „ჩვენი მამები და შვილები", რომელიც 1872 წლის დამდეგს გაზეთ „დროებაში" გამოქვეყნდა და რომელიც გამომხატველია მამათა და შვილთა ლიტერატურული პაექრობის ირგვლივ არსებული იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრისა: „ჩვენი მამები ბრალათ სდებენ შვილებს, რომ თქვენ ურწმუნონი, უსაქმონი და ლიბერალები ხართო: ენა წაგვიბილწეთო და სხვა ამისთანაებს. შვილებიც, თავის მხრივ, სხვადასხვა მრუდე საქმეებს, საზოგადო სიკეთეზე დაუდევრობასა და მხოლოდ თავის საკუთარ თავზე

ზრუნვას აბრალებენ მოხუცებულებს. ამის გარდა, ორივე მხრით ბევრი გასამტყუნარი პუნქტია წარმოდგენილი; მაგრამ ყველა რომ ჩამოვთვალოთ, რაშიაც ეს ორი მხარე ერთმანეთს ამტყუნებს, ერთობ შორს წავა. დღეს ჩვენ გვინდოდა მხოლოდ გვეჩვენებინა მკითხველისათვის, რომ ჩვენი საზოგადოების ორს ნაწილს შორის, მოხუცებულებსა და ახალგაზრდებს შორის, უკმაყოფილება და დაუნდობლობა სუფევს და რომ ამ გარემოებას ხეირის დაყრა არ შეუძლია ჩვენთვის“(გაზეთი „დროება“, 1872 წ. #7).

სერგეი მესხის წერილიდან აშკარად იგრძნობა დაპირისპირებულ ბანაკთა შერიგების, შეთანხმების მიზანი, რომ ამ ადამიანებმა ერთიანი ძალით, ხელიხელჩაკიდებულებმა ერის საკეთილდღეოდ იღვაწონ. მოულოდნელი არაა, რომ ,,დროების“ რედაქტორი ახალი თაობის საქმეთა უპირატესობას აღიარებს და ქვეყნისათვის ყველა გულშემატკივარს მასთან თანამშრომლობისაკენ მოუწოდებს. სტატიის დასასრულს ავტორი გადაჭრით აცხადებს: ,,უკანასკნელ ორ ჭეშმარიტებას გამოვთქვამ, რომელიც, გთხოვთ, ყველამ კარგად ჩაინერგოთ გულში: 1) საზოგადო გაჭირვებას საზოგადო დახმარება უნდა; 2) მომავალი ყოველთვის ახალგაზრდებს ეკუთვნის“.

აპ. მახარაძის მართებული შენიშვნით, „გრიგოლ ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე განსხვავებული სტილის მწერლები არიან: პირველი რომანტიზმის ტიპური წარმომადგენელია, ხოლო მეორე ქართული კრიტიკული რეალიზმის მამამთავარი. ამდენად ეს ორი მწერალი ქართული ლიტერტურისა და საზოგადოებრივი აზრის მუდმივი მოძრაობის, წინსვლისა და განვითარების გამომხატველია. პირველი წინა საფეხურია, ხოლო მეორე - მომდევნო და ამაღლებული. გრიგოლ ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის ეს პაექრობაც თავის მხრივ მაჩვენებელია ქართული ლიტერატურის შემდგომი ზრდისა და წარმატებისა, რომლისთვისაც ისინი ცალ-ცალკე ყოველთვის იღვწოდნენ“ (მახარაძე, 1969:62).

მიუხედავად განსხვავებული ლიტერატურული გემოვნებისა თუ შეხედულებისა, ამ ორი თაობის წარმომადგენლები საოცრად აფასებდნენ ერთმანეთს და მუდმივად მიუთითებდნენ მათ დამსახურებებზეც ერისა თუ მწერლობის წინაშე. გავიხსენოთ, აკაკი წერეთელმა, ილია ჭვაჭავაძის მსგავსად, როგორ უწოდა გრიგოლ ორბელიანს ძველსა და ახალ თაობას შორის „შემაერთებელი ხიდი“. მსგავს შეფასებას

ინახავს გაზეთ „დროების“ ფურცლებიც: „გრიგოლ ორბელიანი იყო კავშირი ძველისა და ახლი თაობის შორის, სხვადასხვა დგმის შემაერთებელი ხიდი. როგორც ყოველივე შემაერთებელ რამეს, მაგას ერთი თავი რომ ერთი მხრისკენ ჰქონდა, მეორე-მეორისაკენ, მაგრამ მაგის გულზედ არ გადმოსულა და არ გადასულა მცირე რამეც, ან ერთი მხრის შემაწუხებელი, სავნებელი და სასაყვედურო ან მეორის,- ეგ მოყვარული იყო თანამგრძნობი იმისთანა კაცებისა, რომელთაც დღეს ახალთაობის კაცებად ვუწოდებთ და ამგვარ მოწაღმართე პირებს ეძებდა როგორც ახლებში, ისე ძველებშიაც. ხნოვანებით არ საზღვრავდა: ბევრს მოხუცებულებში ჰხედავდა მოწაღმართე ახალთაობის კაცს და აფასებდა. ზოგჯერ ახალგაზრდებშიაც პოულობდა მოუკუღმართე ძველთაობის კაცს და ეზიზღებოდა“ (გაზეთ. „დროება“, 1883, #66).

აღსანიშნავია ისიც, რომ გაზეთი „დროება“ ყოველთვის ფხიზლად იდგა ქართული ენის უფლებათა დაცვის სადარაჯოზე და თუკი რაიმე საფრთხეს იგრძნობდა, მთელი საზოგადოების გასაფრთხილებლად და დასარაზმავად მალევე შემოჰკრავდა განგარის ზარებს. მაგალითად, 1872 წლის 6 ოქტომბერს ,,დროებაში“ ვკითხულობთ: ,,ამბობენ, რომ თბილისის სემინარიაში უმაღლესის სასულიერო მთავრობისაგან მოსულა ქაღალდი, რომლის ძალითაც ამ სასწავლებელში უნდა შემოიღონ ისევე ახალი წეს-დებულება, რომელიც ამჟამად ყველა რუსეთის სემინარიებში მუშაობს. ამბობენ აგრეთვე, რომ ამ ახალი წესდებულების ძალით, თბილისის სემინარიაში ქართული და საზოგადოთ ყველა ადგილობრივი ენები უნდა მოისპოს და მათ ნაცვლათ ლათინურისა და ბერძნული ენების სწავლა უნდა დაწესდესო, თუმცა ამ უკანასკნელი ამბავის სიმართლე ჩვენ დარწმუნებით გვითხრეს, მაგრამ ჩვენ არა გვჯერა, რომ ამგვარი განკარგულება მართლა მოეხდინოს სასულიერო მთავრობას: არა გვჯერა, რომ ქართული ენის სწავლება ისეთ სასწავლებელში მოსპონ, რომლიდამაც ქართულ ენაზე მლოცველნი და ქართველი ხალხისათვის მქადაგებელნი მღვდლები გამოდიან“.

ჩვენამდე მოღწეული მასალებით დასტურდება, რომ ამ დროს მართლაც ყოფილა განზრახვა სასულიერო სემინარიაში ქართული ენის სწავლების მოსპობისა. ამ განზრახვას ჩვენი საზოგადოებრივი აზრის შეშფოთება და წინააღმდეგობა გამოუწვევია.

1880 წელს ქართველი ინტელიგენციის თაოსნობით დაიწყო შოთა რუსთაველის უკვდავი თხზულების ,,ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა შეგროვება. ამ საქმის ინიციატორთა მიზნი იყო ვარიანტების შედარების გზით დაედგინათ და გამოეცათ ,,ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი.პირველი სხდომა ამ სამუშაოს დასაწყებად გაიმართა 1880 წლის 24 ნოემბერს, მაგრამ იმის გამო, რომ ხელნაწერები საკმარისად ვერ დაინახეს, საქმის დაწყება დროებით გადაიდო და შეკრებამ მხოლოდ ორგანიზაციული მხარეები მოაგვარა. შეკრებაზე გადაწყდა, რომ დაეგზავნათ წერილები იმ პირებისათვის, რომელთაც ,,ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები მოეპოვებოდათ. საჭირო იყო მეთაური, რომელიც წერილებს დააგზავნიდა და რომელსაც საერთოდ მიენდობოდა ამ საქმის მთელი ხელმძღვანელობა. შეკრებამ ასეთ მეთაურად ერთხმად წამოაყენა გრიგოლ ორბელიანი და მოხუცმა პოეტმაც მიიღო ეს საპატიო დავალება.

გაზეთი ,,დროება“ ამის თაობაზე წერდა: ,,წერილების მიწერა და საზოგადოდ ამ საქმეში თაოსნობა ყრილობამ ერთხმად სთხოვა გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანს, რომელმაც სიამოვნებით ინება ამ საქმეში მონაწილეობის მიღება“.

იმავე კრებაზე არჩეულ იქნენ თავმჯდომარის მოადგილეები -ილია ჭავჭავაძე და რაფიელ ერისთავი.

,,დროების“ დამოწმებით, გრ.ორბელიანმა ოცამდე წერილი დაგზავნა და ,,ვეფხისტყაოსნის“ ვარიანტები შეაგროვა, რამდენადაც იმ დროს შესაძლებელი იყო. დაწყებული საქმიანობა ბრწყინვალედ დამთავრდა. ამ მუშაობის შედეგად დაიბეჭდა ,,ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი 1888 წლის გამოცემა. ამ საქმის ერთ-ერთი ინიციატორი გრ. ორბელიამი იყო. იგი მხარში ამოუდგა ოთხმოციანი წლების მოწინავე ინტელიგენციას ამ დიდ კულტურულ საქმეში და იმავე ინტელიგენციის დავალებით მნიშვნელოვანი როლიც შეასრულა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, გაზეთი „დროება“ მუდამ ფხიზლად ადევნებდა თვალს მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს და დროული გაშუქებით ცდილობდა ქართველი მწერლების ღვაწლის წარმოჩენას.

ლიტერატურული საღამოები „დროების“ ფურცლებზე

მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლების მიწურულიდან თბილისში ფეხს იკიდებს ფართო, საყოველთაო ხასიათის ლიტერატურული საღამოების ტრადიცია. ამ საქმის სათავეშიც დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი მოჩანან. 1875 წლის გაზაფხულზე თბილისის საზაფხულო თეატრში პირველად მოეწყო ფართო ხასიათის ლიტერატურული საღამო. ამ საქმის მეთაური და სულისჩამდგმელი, აკაკი წერეთელთან ერთად, ილია ჭავჭავაძე იყო. საღამოში მონაწილეობდნენ ასევე ჩვენი ცნობილი მოღვაწეები: დიმიტრი ყიფიანი, რაფიელ ერისთავი, დავით ერისთავი და სხვ.

გაზეთ ,,დროებაში“ შემონახული ერთი ცნობის მიხედვით, ,,თუმცა საღამო მეტისმეტი აჩქარებით იყო გამართული, თუმცა აფიშები ქალაქში ხუთშაბათ საღამოს ააკრეს და ბილეთების ყიდვა პარასკევს დილას დაიწყეს, ე.ი. იმ დღეს, როცა საღამო იმართებოდა, თეატრში მაინც ცარიელი ადგილი ბევრი არ დარჩენილა“.

სახელოვანი მწერლების გამოსვლამ ფართო საზოგადოების წინაშე დამსწრეთა საერთო კმაყოფილება გამოიწვია. სერგეი მესხი პირდაპირ ამბობს, რომ ,,არც ერთ ქართულ წარმოდგენას, არც ერთ სხვა რომელსამე თავის შესაქცევარს დროს გატარებას არ მოუხდენია ჩვენში აარასოდეს ისეთი კარგი, ისეთი სასიამოვნო შთაბეჭდილება, როგორც ამ სალიტერატურო საღამოს“.

4 აპრილს გამართულ საღამოზე ილიამ ორი ნაწარმოები წაიკითხა: ერთი იყო ნაწყვეტი ,,კაცია-ადამიანიდან" და მეორე-გრიგოლ ორბელიანის ცნობილი მუხამბაზი ,,დიმიტრი ონიკაშვილის დარდები". ეს მოქმედებაც თავისთავად ავტორისადმი პატივისცემის ერთ-ერთი გამოვლინებაა. ამ ორი დიდი მწერლის შემდეგი შეხვედრებიდან საყურადღებო მომენტს წარმოადგენს მათი ერთად თანამშრომლობა ოთხმოციანი წლების ერთ მეტად მნიშვნელოვან კულტურულ წამოწყებაში.

4 აპრილის ლიტერატურულ საღამოს გამოეხმაურა თბილისის რუსული გაზეთი ,,კავკაზი". ამ გაზეთის მიმომხილველი ლიტერატურული საღამოს მონაწილეთა უმრავლესობას დადებითად ახასიათებს.

კონკრეტულ შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესო ისაა, რომ ,,კავკაზი" უარყოფით შეფასებას აძლევს ლიტერატურულ საღამოზე აკაკი წერეთლის გამოსვლებს. გაზეთის მიმომხილველი აღიარებს, რომ აკაკი, საერთოდ, კარგად კითხულობს, მაგრამ იგივე მიმომხილველი იწუნებს თხზულებებს, რომელიც აკაკიმ ამ საღამოზე წაიკითხა ,,ბაგრატ დიდი", ,,ადვოკატის დილა", ,,სცენები საპყრობილეში".გაზეთ ,,კავკაზში გმოქვეყნებული წერილიდან აშკარად იგრძნობა ტენდენცია აკაკი წერეთლისადმი ერთგვარი უსიამოვნების მიყენებისა. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ გაზეთის ამ შენიშვნას მკაცრად გამოეხმაურა თვითონ აკაკი.

აკაკიმ გაზეთ ,,დროებაში" გამოაქვეყნა წერილი რედაქტორობისადმი. იგი მისთვის ჩვეული გამბედაობით თავს დაესხა ,,კავკაზს" და სასტიკად გაამათრახა. აკაკი თავის პასუხში წერდა: ,,კავკაზში" დაბეჭდილია მცირე შენიშვნა ქართულ სალიტერატურო საღამოს შესახებ. უფალი რეცენზენტი განსაკუთრებითის ყურადღებით მიგონებს მე და აფასებს ჩემს კითხვას. კილო მისის ნაწერისა ამტკიცებს, თუ რა მეგობრულის მუცლის წვითა და წმახვნით მიხსენიებს. მე როგორც მის ქართულის ცოდნაზე, ისე მის პატიოსნებაედაც არა მაქვს ეჭვი და მჯერა მისი ნათქვამი. უნდა გამოვტყდე, რომ წასაკითხად არჩეული პიესები ვერ იყვნენ გაზეთს ,,კავკაზს" რომ უნდოდა, მისთანები. ,,ადვოკატის დილის" და ,,საპატიმროში სცენების" წაკითხვის დროს ხალხი იცინოდა და რა იყო იქ საცინელი მაშინ, როდესაც ავტორი აქ დასცინოდა იმგვარს ადვოკატებს, რომელნიც გაზეთის ,,კავკაზის" იდეალები არიან. და მეორეც, როდესაც მე ისტორიული პოემა ,,ბაგრატ დიდი"

წავიკითხე. აღარავინ აღარ იცინოდა და ეს მით უფრო გასაკვირვალია გაზეთის ,,კავკაზისათვის“ პირველად, რომ იმ პოემაში საქართველოს ტანჯვა იყო გამოხატული, და მეორეც ის, რომ ხალხი მიჩვეულია სიცილს ისტორიულ ლექციების კითხვით. დიახ, ვიმეორებ, რომ მე სრულიად თანახმა ვარ უფალ რეცენზენტის და კიდევაც მივიღებ მის რჩევას პიესების ამორჩევის შესახებ. შემდეგის სალიტერატურო საღამოსათვის მე წავიკითხავ: 1) ,,ადვოკატის დილის“ მაგიერ ,,რედაქტორის დილას“, 2) სცენების მაგიერ მცირე მოთხრობას ,,ხურმა რა ხილია.“ იმედი მაქვს, ამგვარის პიესების ამორჩევით უფალი რეცენზენტი კმაყოფილი დარჩება, მით უფრო, რომ მის პატიოსნებაზედ არც მე მაქვს ეჭვი და აღარც იმათ, ვინც იმ ღამეს იმ კითხვაზედ დაესწრნენ“.

ასე გაუმასპინძლდა აკაკი წერეთელი გაზეთ ,,კავკაზის“ თავდასხმას. თავის მხრივ ეს თავდასხმა და აკაკის მოხდენილი პასუხი კიდევ უფრო აფართოებს ჩვენს წარმოდგენას ამ ლიტერატურული საღამოს საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე.

იმავე 1875 წლის 22 აპრილს თბილისში მეორე ლიტერატურული საღამო გაიმართა. ეს საღამოც დიდი წარმატებით ჩატარდა, რასაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა 4 აპრილის საღამოს შთაბეჭდილებანი დამსწრე საზოგადოებაზე. 22 აპრილის ლიტერატურული საღამოს მონაწილენი იყვნენ დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, პეტრე უმიკაშვილი, გ. ახვლედიანი და სხვები.

გაზეთ ,,დროების“ 23 აპრილის დღიურ მიმოხილვაში ვკითხულობთ: ,,წუხანდელი სალიტერატურო და მუსიკალური საღამო ერთი იმ საღამოთაგანი იყო, რომლიდანაც მაყურებელი ნამდვილი სიამოვნებით და კმაყოფილებით ბრუნდება ხოლმე სახლში.

მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში ლიტერატურული შეკრებებისა და საღამო-წარმოდგენების რიცხვი კიდევ უფრო იზრდება. ქართული თეატრის აღდგენის შემდეგ ასეთი საღამოები იმდენად ხშირია, რომ ყველა მათგანის აღრიცხვაც გაჭირდებოდა, მაგრამ ქართული ლიტერატურისა და საზოგდოებრივი აზრის, საზოგადოდ, ეროვნული კულტურის ისტორიის თვალსაზრისით უმთავრესი მოვლენების გათვალისწინება მაინც საჭირო და აუცილებელია.

ოთხმოციანი წლების ეპოქიდან რამოდენიმე შეკრებაა განსაკუთრებით საყურადღებო. ზოგიერთი ამათგანის შინაარსი ლიტერატურის ფარგლებს კიდეც სცილდება და საერთო-ეროვნული მნიშვნელობით წარმოგვიდგება, მაგრამ ამ დიდი საქმეების ცენტრშიც ჩვენი სახელოვანი მწერლები დგანან. ამ შეკრებათა გათვალისწინება კიდევ უფრო აფართოებს ჩვენს წარმოდგენას ეპოქის საზოგადოებრივ და კულტურულ ვითარებაზე.

1876 წლის 49160 მარტს გაზეთ ,,დროების" დაარსებიდან ათი წლისთავისადმი მიძღვნილი ნადიმი გაიმართა. ნადიმს თაოსნობდნენ სერგეი მესხი და ილია ჭავჭავაძე. მოღწეული ცნობების მიხედვით შეკრება-ნადიმს სამოცდაათზე მეტი კაცი ესწრებოდა.

,,დროების" ათი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო შეკრება დანიშნულებისამებრ ჩატარდა. ნადიმზე სიტყვები წარმოსთქვეს ილია ჭავჭავაძემ, სერგეი მესხმა, ნიკო ნიკოლაძემ და სხვებმა. გასაგებია, რომ ქართველი ინტელიგენციის ამ შეკრებას მაორგანიზებელი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი გაშლა-გაფართოებისათვის. ნადიმზე დიდებით მოიხსენიეს სოლომონ დოდაშვილი, როგორც პირველი მებრძოლი ქართველი ჟურნალისტი. აქვე აღინიშნა გიორგი ერისთავის დიდი ღვაწლი ქართული ჟურნალისტიკის განვითარების ისტორიაში. შემთხვევითი არც ისაა, რომ ს.დოდაშვილისა და გ. ერისტავის მოღვაწეობაზე ნადიმის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა პირადად ილია ჭავჭავაძემ.

,,დროებისადმი" მიძღვნილი შეკრება-ნადიმის შინაარსის მთლიანად აღდგენა ახლა უკვე შეუძლებელია. ერთადერთ წყაროს წარმოადგენს ,,დროებაშივე" შემონახული მოკლე აღწერა ამ ნადიმისა, რომელიც იმავე წლის 7 მარტის ნომერშია დაბეჭდილი.

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულისა და მეოცე საუკუნის დამდეგის ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული მნიშვნელობით წარმოგვიდგება სახე გერმანელი მწერლის არტურ ლაისტისა. მან თავისი შეგნებული სიცოცხლის დიდი ნაწილი საქართველოში გაატარა; შეისწავლა ქართული ენა, ლიტერატურა და ისტორია. ლაისტმა გერმანულად თარგმნა და ევროპელ მკითხველს გააცნო შოთა რუსთაველის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია

ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, რაფიელ ერისთავისა და სხვა ქართველ მწერალთა თხზულებები.

არტურ ლაისტს პირადი ნაცნობობა და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის თითქმის ყველა ქართველ მოღვაწესთან, ხოლო განსაკუთრებით დაახლოებული იყო იგი ილია ჭავჭავძესთან. სწორედ ილიას გავლენითა და ხელშეწყობიტ დარჩა იგი სამუდამოდ საქართველოში. ლაისტის კალამს ეკუთვნის ცნობილი ნაშრომი ,,საქართველოს გული", რომელიც რიგ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ახალი ქართული მწერლობის ისტორიის საკითხებზე. შეუძლებელია ინტერესს არ იწვევდეს ქართველი ხალხის ამ გულითადი მეგობრის პირველი ჩამოსვლა ჩვენს ქვეყანაში.

არტურ ლაისტი საქართველოში პირველად ჩამოვიდა 1884 წლის მაისის დამლევს. იგი ყველაზე უწინარეს ილია ჭავჭავაძეს ეწვია. ილია არტურ ლაისტს შორიდან უკვე იცნობდა. ახლა, როდესაც პირადად ნახა და ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლის მიზანიც გაიგო, ილიამ არტურ ლაისტს ფართო ხასიათის შეხვედრა მოუწყო. 1884 წლის 1 ივნისს ილია ჭავჭავაძემ საკუთარ ბინაზე სადილად მიიწვია ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, რათა მათთვის სასურველი სტუმარი გაეცნო.

გაზეთი ,,დროება" თავის 3 ივნისის ნომერში უკვე იტყობინებოდა: ,,ამ დღეებში ესტუმრა ჩვენს ქალაქს ბატონი არტურ ლაისტი, ეს ის ლაისტია, რომელმაც რამოდენიმე წერილი დაბეჭდა ევროპულ ჟურნალ-გაზეთებში საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურაზე და, რომელის ეს სამი წელიწადი იქნება, რაც დიდი ხალისითა და სიყვარულით სწავლობს ქართულს ენას, ისტორიას, ლიტერატურას, თვალ-ყურს ადევნებს ქართველთ ცხოვრებას და წარმატებას და თავის შესწავლისა და ცოდნის ნაყოფის უზიარებს ევროპის მკითხველ საზოგადოებაწს". ამის შემდეგ ,,დროება" თავის მკითხველს უსახელებდა არტურ ლაისტის წერილებს ქართული ლიტერატურისა და ისტორიის საკითხებზე, რომელნიც უკვე გამოქვეყნებული იყო ევროპის ჟურნალ-გაზეთებში.

დასასრულ, ,,დროება" კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ ილია ჭავჭავაძემ ძვირფასი სტუმარი უკვე გააცნო ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს.

ამრიგად, როგორც წარმოდგენილი მასალა ცხადყოფს, ლიტერატურული საღამოები ყოველთვის შუქდებოდა გაზეთ „დროების“ ფურცლებზე, რადგან სარედაქციო კოლეგია ბოლომდე ითავისებდა ამ საღამოების უდიდეს მნიშვნელობას ქართული ლიტერატურის, კულტურის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში.

დასკვნა

გაზეთი ,,დროება“ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ღირსეული მატიანეა, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ქართველთა ეროვნული ცნობიერების ამაღლებასა და სახელმწიფოებრივი აზროვნების განმტკიცების საქმეში. ილიას, აკაკის, გ.წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, ს.მესხის, დ. ჯაფარიძის, ბ. ჯაფარიძის, გ.ღოღობერიძის, ბ.ღოღობერიძის, ი. ნაკაშიძის, ი. ბერიძის და სხვა მრავალ ჭეშმარიტ მამულიშვილთა ღვაწლი და ამაგი გაზეთ ,,დროების“ დაარსებასა და მის შემდგომ საქმიანობაში მართლაც ფასდაუდებელია. კულტურა, განათლება, მეცნიერება, ეკონომიკა, პოლიტიკა, სოფლის ცხოვრება, უბრალო ადამიანების ყოფა და ცხოვრება, კავკასიის, ევროპის, აზიის, ამერიკის ქვეყნების მიმდინარე მოვლენები და პროცესები, - ყველაფერი აინტერესებდა ,,დროებას“, რაც იმას ნიშნავს, რომ აინტერესებდა ქართველ მკითხველ საზოგადოებას და გაზეთის თანამშრომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ქართველი კაცის ცნობიერება არასოდეს მოწყვეტილიყო არა მხოლოდ რეგიონის, მთლიანად მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს. თამამად შეიძლება ითქვას, მანამდე არსებულ არც ერთ ქართულენოვან პერიოდულ გამოცემას არ მიუღწევია ასეთი ფართო მასშტაბებისათვის. ,,დროება“ ახერხებს მკითხველებს მოუთხროს რა ხდება საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ინგლისში, ამერიკაში... უამბოს როგორც პირველწყარომ და თვითმხილველმა

მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისა. ეს ყველაფერი კი ხორციელდებოდა იმ ახალგაზრდა თაობის მიერ, რომლებიც მე-19 საუკუნის 60-იანი წლების საქართველოში საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. ,,დროების“ საკორესპოდენციო ქსელი იმდენად ფართო და ყოვლისმომცველია, რომ გაზეთს თანამედროვე მკვლევარები სამართლიანად ეძახიან ,,პირველი ევროპული ტიპის გამოცემას“. გაზეთი, რომელიც თავდაპირველად, 1866 წელს დაარსდა როგორც ყოველკვირეული გამოცემა, შემდგომ კი 1875-1876 წლებში კვირაში სამჯერ, ხოლო 1877 წლიდან ყოველდღიურად გამოიცემოდა, მოითხოვდა ტიტანურ შრომასა და ღამეების თეთრად თენებას, რათა მკითხველი საზოგადოების ინტერესები მაქსიმალურად დაკმაყოფილებულიყო. ქართული ეროვნული ცნობიერებითა და სახელმწიფოებრივი აზროვნებით დამუხტული უნიჭიერესი ახალგაზრდა თაობა, იყო ნამდვილი ფლაგმანი მსოფლიო ცივილიზებულ სამყაროში მიმდინარე სიახლეების შემოტანის თვალსაზრისით, რაც იყო საფუძველი ადექვატური რეაგირებისა მკითხველი საზოგადოების მხრიდან.

გაზეთი „დროება“ მუდმივად აშუქებდა თავის ფურცლებზე ლიტერატურულ პროცესებს. „დროების“ მე-5 განყოფილება ეთმობოდა ახლად გამოსული რუსული, უცხოური და ქართული წიგნების ბიბლიოგრაფიას, კრიტიკული სტატიებს რუსული და აქაური ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის შესანიშნავ მოვლენებზე.

ამავდროულად გაზეთ „დროების“ ფურცლებზე ყოველთვის შუქდებოდა ლიტერატურული საღამოები, რადგან სარედაქციო კოლეგია ბოლომდე ითავისებდა ამ საღამოების უდიდეს მნიშვნელობას ქართული ლიტერატურის, კულტურის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში.

აღსანიშნავია ისიც, რომ გაზეთი „დროება“ ყოველთვის ფხიზლად იდგა ქართული ენის უფლებათა დაცვის სადარაჯოზე და თუკი რაიმე საფრთხეს იგრძნობდა, მთელი საზოგადოების გასაფრთხილებლად და დასარაზმავად მალევე შემოჰკრავდა განგარის ზარებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. სანიკიძე, ქართული პერიოდული გამოცემები, ნაკვეთი I, 2009

2. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, შრომები XII, 2016, ,, ილია ჭავჭავაძის ბრძოლა ჟურნალ ,,საქართველოს მოამბის“ დაარსებისათვის.

3. ვ.კოტეტიშვილი.ქართული ლიტერატურის ისტორია მე-19 საუკუნე, 1959

4. გ.წერეთელი, ტომი პირველი, 1931

5. ა. კალანდაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, 1987, ტ.5

6. პ. ინგოროყვა, თხზ.კრებული, 1963

7. ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, 1936

8. ს. მესხი, თხზ. ტ. 4, 1964,

9. ა. ჯორჯაძე, თხზ. ტ. 5, 2010

10. ი. ჭავჭაქვაძე, თხზულებანი, ტ.1, 1961

11. აკ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, 1985, XIII

12. ს. მესხი, წერილები, 1904

13. ქართული მწერლობა, 1997

14. დ. მესხი, მოგონებანი,1940

15. ,,აჭარა,” 11. 04. 1986

16. ა. მახარაძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, გამომც. „განათლება“, თბ., 1969

17. გ. შარაძე, ილია ჭავჭავაძე, წიგნი I, გამომც. „ხელოვნება“, თბ., 1987

18. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, თბ. 1955.